## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

ელენა ვდოვიჩენკო


# ნატოს როლი კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში. უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად


ხელმძღვანელი: პროფესორი, ვახტანგ მაისაია,

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი



თბილისი - 2019

## ანოტაცია

უკანასკნელი წლების ისტორიისა და მოვლენების მიუხედავად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია აგრძელებს არსებობას და 2019 წელს 70 წლის იუბილე აღნიშნა. ბოლო წლების მანძილზე მას უამრავი გამოწვევა ჰქონდა, თუმცა ნატო-მ მაინც აქტიური და წამყვანი როლი შეინარჩუნა საერთაშორისო არენაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების მშენებლობის საქმეში. დღესდღეობით, ალიანსი წინაშე კვლავ გვევლინება საფრთხეების ფართო სპექტრი, განსხვავებული თავისი ბუნებით და ადგილმდებარეობით.

სამაგისტრო ნაშრომში გავაანალიზებ ნატო-ს როლს უსაფრთხოების და მშვიდობის ხელშეწყობისთვის და ახალი საფრთხეებისა და გამოწვევებისადმი ადაპტაციის უნარს. ნაშრომში იქნება განხილული ნატო-ს ისტორიული პარადიგმა. და ასევე გააანალიზებს მიდგომებსა და მეთოდებს, რომლებსაც ნატო იყენებს უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისთვის.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ ინარჩუნებას ნატო თავის პოზიციებს დღესდღეობით, საჭიროა ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენება და ორგანიზაციის შესწავლა არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების თეორიების გამოყენებით, არამედ ორგანიზაციული განვითარების შესწავლა.

ასიმეტრიული ომის პირობებში ნატო-ს სჭირდება მისი სხვადასხვა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროგრამების განხორციელების ტექნოლოგიური და საპროცესო პოტენციალის გაუმჯობესება.

# The Role of NATO in Peace Prevention and Settlement and Main Aspects of Security

## Annotation

Despite all the twists and turns of history and events of the past years, the North Atlantic Treaty Organization continues to exist and in 2019 celebrated its 70th anniversary. NATO went through lots of challenges over the past years of existence but still remains an active and leading participant in building peace and security on the international arena. Nowadays, the Alliance keeps facing the wide range of threats, diverse by its nature and geographical presence.

In this Master Thesis I will analyze the role on NATO in promotion of security and peace, its ability to adapt to the new threats and challenges. This thesis will discuss the historical paradigm of NATO. It will also analyze the approaches and methods NATO is using for ensuring security and peace, its policy towards the deferent type of actors.

To understand NATOs policy, its ability to survive as an Alliance, there is need to apply interdisciplinary methods and to study organization not only using theories of international relations and political science, but also organizational development.

In the conditions of the asymmetric war NATO needs the improvement of technological and procedural potential of implementation of its various peace and security programs.

Elena Vdovichenko

# შინაარსი

**შესავალი**..... 5

**თავი I. ნატო და გლობალური პოლიტიკა**..... 9

1.1ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის ძირითადი ასპექტები..... 9

1.2 ნატოს როლი ცივი ომის პერიოდში. განიარაღების პოლიტიკა..... 16

1.3 ნატოს პოლიტიკა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი უსაფრთხოების საკითხებში ..... 23

**თავი II. ნატოს ჩართულობა კონფლიქტების დარეგულირებაში და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში**..... 32

2.1 ნატოს როლი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.....32

2.2 ნატოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიები.....41

2.3 ნატოს როლი საერთაშორისო პოლიტიკაში..... 46

**თავი III. ნატო და თანამედროვე გლობალური გამოწვევები XXI საუკუნეში**…… 53

3.1. ნატოს წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეები და რისკები..... 53

3.2. ასიმეტრიული საფრთხის გავლენა ნატოს უსაფრთხოებაზე.....58

3.3 ევროატლანტიკური ალიანსის და საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.....64

**დასკვნა**.....69

**გამოყენებული ლიტერატურა**.....73

**გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა**.....80

# შესავალი

## არჩეული თემის აქტუალობა

ცივი ომის შემდგომ ევროატლანტიკური ალიანსის მისიები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დღესდღეობით ნატოს როლი კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში საკმაოდ დიდია. თუმცა თანამედროვე სივრცეში ნატოს წინაშე დგას გამოწვევების ფართო სპექტრი, აღმოსავლეთიდან რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკა, ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაცია. ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში მიმდინარე მოვლენების გამძაფრება, რამაც გამოიწვია მიგრაციის დიდი ნაკადი და ტერორისტული შეტევები. თემაში განხილული იქნება ტრანსატლანტიკური ალიანსის მიდგომები კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში და ასევე თანამედროვე გამოწვევებთან ბრძოლის უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები.

## საკვლევი კითხვები

1. რა როლს ასრულებს ნატო თანამედროვე კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში?
2. ნატოს მიდგომები კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში?
3. რა საფრთხეების წინაშე დგას ტრანსატლანტიკური ალიანსი XXI საუკუნეში?

**ჰიპოთეზა** - თანამედროვე პერიოდში მსოფლიოში გვევლინება საფრთხეების ფართო სპექტრი, რომლებიც გავლენას ახდენენ მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაზე. ნატო თამაშობს მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში. ნატოს წინაშე არსებული ახალი გამოწვევები და საფრთხეები ქმნიან უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის შემუშავების და არსებული უსაფრთხოების სისტემის დახვეწის და გაძლიერების საჭიროებას.

## თემის მიზნები და ამოცანები

1. კონფლიქტების დარეგულირებაში და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატოს ჩართულობის განხილვა
2. ნატოს პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ანალიზი
3. ტრანსატლანტიკური ალიანსის საერთაშორისო სამშვიდობო მისიების განხილვა
4. ნატოს როლის განხილვა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში
5. XXI საუკუნეში ნატოს წინაშე თანამედროვე გლობალური გამოწვევების ანალიზი
6. საქართველოს და ევროატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების ანალიზი საერთაშორისო უსაფრთხოების დარეგულირებაში

## მეთოდოლოგია

,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია უკავშირდება ცნობილი ამერიკელი მკვლევარის - რიჩარდ კოენის სახელს. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზებული ქვაკუთხედიდან, პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება.

ძალთა ბალანსი ან ძალთა წონასწორობა — ერთ–ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

### კვლევის მეთოდები

- თემის დამუშავების დროს იქნება გამოყენებული არსებული მასალების განხილვა და ანალიზი
- ისტორიული-აღწერილობითი მეთოდი

- მონაცემთა ანალიზი
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი

**კვლევის მოსალოდნელი შედეგების განხილვა**

- ნატოს როლის წარმოჩენა მსოფლიოში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებაში
- განხილული იქნება ნატოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში

**სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა**

**1) NATO's Evolution : From Conventional to Hybrid Warfare, Dervishi Lejdi, 2016.** ნაშრომში აღწერილია ნატოს განვითარების ეტაპები. მისი ფუნქციონირება არსებობის თითოეულ ისტორიულ მონაკვეთზე, მათ შორის, თანამედროვე პროცესების ფონზე. ნაშრომი იკვლევს ნატო-ს ბოლო წლების ინტერვენციის სფეროებს და განიხილავს ჰიბრიდული ომის ელემენტებს და მის საწინააღმდეგო ბრძოლის სტრატეგიებს, რომელიც ალიანსს მომავალში დაეხმარება სირთულეების გადალახვაში

**2) The Euro-Atlantic Security System in the 21st Century - From Cooperation to Crisis, Zięba Ryszard, Springer International Publishing AG, 2018**. წიგნში აღწერილია ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ევოლუცია, ილუსტრირებულია ევროატლანტიკური თანამშრომლობის მოკრძალებული წარმატება. ამასთანავე, საერთაშორისო დონეზე მოქმედებათა უკეთ აღსაქმელად, შემოთავაზებულია ნეორეალისტური მიდგომა.

**3) ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, ნიკა ჩიტაძე, თბილისი 2008.** წიგნში განხილულია ნატოს ისტორიული ჩამოყალიბების ასპექტები, კერძოდ „ცივი ომის“ პერიოდში და „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში. დეტალურად განხილულია ნატო-ს, როგორც სამხედრო ორგანიზაციის სტრუქტურა და ფუნქციონირების ძირითადი მექანიზმები. წიგნში ასევე განხილულია ალიანსის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებები. ნაშრომში არის გაანალიზებული საქართველო-ნატოს ურთიერთობები და სამხედრო თანამშრომლობის პროცესები.

# თავი I. ნატო და გლობალური პოლიტიკა

## 1.1 ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის ძირითადი ასპექტები

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ევროპაში იმატა დაძაბულობის დონემ. სამხედრო რეჟიმის კოალიცია დაიშალა. ფაქტობრივად, ევროპიდან ამერიკული სამხედრო ძალების გაყვანის შემდეგ, სსრკ გადაიქცა დომინანტ სამხედრო ძალად კონტინენტალურ ევროპაში. საბჭოთა კავშირი ყველა ზომებს იღებდა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პროსაბჭოთა ძალების ჩასანერგად. კომუნისტური რეჟიმები ჩამოყალიბდა რუმინეთში, ბულგარეთში, ალბანეთსა და იუგოსლავიაში. საბერძნეთში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი და კომუნისტების ხელმძღვანელობით ძლიერდებოდა პარტიზანული მოძრაობა. სსრკ ყველა საშუალებით ცდილობდა შავიზღვისპირეთის სრუტეების  სტატუსის შეცვლას და ბოსფორის სრუტეში სამხედრო ბაზის შექმნის უფლების მოპოვებას.

დასავლეთ ევროპის ქვეყნები და მათი ჩრდილოელი მოკავშირეები ამ ქმედებებს საერთაშორისო სტაბილურობისა და მშვიდობის საფრთხედ აღიქვამდნენ[1]. აშკარა იყო, რომ საბჭოთა კავშირი სხვა ხალხებისთვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების საფრთხეს წარმოადგენდა. აღნიშნული შეშფოთება პირველად გაჟღერდა 1946 წლის 5 მარტს, როდესაც უინსტონ ჩერჩილმა მისურის შტატში, ფულტონში ვესტმინსტერის კოლეჯში წაიკითხა ლექცია: *„არავინ იცის, თუ რის გაკეთებას აპირებს საბჭოთა რუსეთი და მისი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია უახლოეს მომავალში, ან როგორია მათი ექსპანსიონისტური მისწრაფებების საზღვრები, თუკი ისინი არსებობენ"*...[2]

---

[1] Matei, Floriana Cristiana, NATO and conflict resolution, Monterey, California. Naval Postgraduate School, March 2001

[2] Churchill Winston,  The Sinews of Peace ('Iron Curtain Speech'), Westminster College, Fulton, Missouri March 5, 1946, https://winstonchurchill.org/the-life-of-churchill/life/why-study-winston-churchill/

ეკონომიკური რეფორმის რთული ამოცანის წინაშე აღმოჩენის შემდეგ, დასავლეთ ევროპელებმა დაინახეს საფრთხე საბჭოთა ხელისუფლების შემდგომ გაფართოებასა და დასავლეთის მიმართულებით გავლენის გავრცელებაში.[3] მათ აგრეთვე აღელვებდათ გერმანიის ომის შემდგომი მომავალი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნები და შეერთებული შტატები ასეთ პირობებში აუცილებლობად მიიჩნევდნენ თავდაცვის საერთო სისტემის განვითარების და მათ შორის კავშირების განმტკიცების აუცილებლობას, ისეთი მეთოდებით, რომ აღნიშნულის შედეგად შესაძლებელი ყოფილიყო სსრკ-ს ექსპანსიონისტური პოლიტიკის მეთოდების შემდგომი გამოყენება[4].

1947 წელს, საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის ხელი მოეწერა დიუნკერკის ხელშეკრულებას კავშირის და ურთიერთდახმარების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა გერმანიის შესაძლო სამხედრო აღორძინებას. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლი თითოეულ ქვეყანას აკისრებდა ვალდებულებას აღმოეჩინა გერმანიისთვის ნებისმიერი სამხედრო და სხვა სახის მხარდაჭერა, გერმანიის თავდასხმის დროს ან მის მიერ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.[5]

1948 წელს ბელგიამ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა, ბრიუსელის 1948 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, შექმნეს გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ქვეყნების უსაფრთხოების ალიანსი, გერმანიისგან შესაძლო საფრთხეების განახლებისგან თავდაცვის მიზნით. ბრიუსელის პაქტის უმთავრესი დებულება ითვალისწინებდა შეთანხმების ყოველი მხარისთვის მხარდაჭერის აღმოჩენას ყველა საშუალებით, მათ შორის სამხედრო მხარდაჭერის უზრუნველყოფას: *„ევროპაში ერთ-ერთი მაღალ ხელშემკვრელ მხარეზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში“.*

---

[3] Stromseth Jane E., The North Atlantic Treaty and European Security after the Cold War, Cornell International Law, Journal Volume 24, Issue 3 Symposium 1991, Article 6 p.479-503 p.480

[4] Matei, Floriana Cristiana, NATO and conflict resolution, Monterey, California. Naval Postgraduate School, March 2001

[5] Tertrais Bruno, Article 5 of the Wahington Treaty: Its Origins, Meaning and Future Research Paper, Research Division – NATO Defense College, Rome – No.130 - April 2016

ერთი წლის შემდეგ აშშ-ს მთავრობამ შემოიღო „შეკავების პოლიტიკა“, რომელიც თავდაპირველად, 1946 წელს ჩამოაყალიბა ჯორჯ ქენანმა (George Kennan), ამერიკელმა დიპლომატმა და ექსპერტმა რუსეთის საკითხებში, დოკუმენტში სახელწოდებით „გრძელი დეპეშა“. „შეკავების პოლიტიკა“ აშშ-ს მთავრობას მოუწოდებდა „მკაცრად და თანმიმდევრულად ემოქმედა სსრ კავშირის ყველა მცდელობაზე, გაეფართოებინა საკუთარი გავლენის სფერო“. ქენანი ასევე ამტკიცებდა, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად, დასავლეთის ქვეყნების მისწრაფება უნდა ყოფილიყო ჯანსაღი, წარმატებული და თავდაჯერებული საზოგადოების შემქნა.[6]

მორიგი ნიშანდობლივი სიტყვა წარმოთქვა აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმანმა (Harry S. Truman), საკუთარ  გამოსვლაზე, კონგრესის წინაშე 1947 წლის მარტში, რომელიც ეხებოდა საბერძნეთისა და თურქეთისთვის სამხედრო და ეკონომიკურ დახმარების გაწევას. ტრუმანი ასევე ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები ვერ დაუშვებდა „საბჭოთა ტოტალიტარიზმის თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ძალადობრივ ექსპანსიას, რადგან ამერიკის ეროვნული უსაფრთხოება იმ დროისთვის დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ამერიკის ტერიტორიის ფიზიკურ უსაფრთხოებაზე“. ტრუმენის მიერ წარმოთქმული სიტყვის ძირითად დებულებებს მოიხსენიებდნენ, როგორც „ტრუმენის დოქტრინას“, რაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის რეორგანიზაციის ერთ-ერთი გარდამტეხი წერტილი გახდა. ტრუმენის დოქტრინა  ამერიკის შეერთებულ შტატებს აკისრებდა დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური მთლიანობის შენარჩუნებისთვის აქტიური მხარდაჭერის შეთავაზების ვალდებულებას, როდესაც ასეთი წინადადება ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ინტერესებში მოიაზრებოდა.[7][8] 1948 წლის 11 ივნისს აშშ-ს კონგრესმა მიიღო ვანდენბერგის

[6] http://www.coldwar.ru/bases/bases1.php

[7] The Truman Doctrine, 1947, https://history.state.gov/milestones/1945-1952/truman-doctrine

[8] ჩიტაძე ნიკა, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის

(Vandenberg) რეზოლუცია[9], რამაც წერტილი დაუსვა ამერიკულ იზოლაციონიზმს, შეერთებული შტატებისთვის მშვიდობიან პერიოდშიც კი საერთაშორისო ალიანსებში მონაწილეობის მიღების უფლების მიცემის გზით.

ზემოხსენებულ პოლიტიკურ დოქტრინებში აღნიშნული მიზნების მისაღწევად, შეერთებულმა შტატებმა 1948 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა ეკონომიკური აღორძინებისა და ომის შედეგად განადგურებული ევროპის აღდგენის პროგრამა, სახელწოდებით „მარშალის გეგმა". შეერთებული შტატები მხარს უჭერდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ე.წ. „მარშალის გეგმის" მეშვეობით, რომლის მიზანი იყო დესტრუქციული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის აღდგენის, ევროპული ინდუსტრიის და ეკონომიკის გაძლიერების ხელშეწყობა.[10] „მარშალის გეგმა" ითვალისწინებდა ევროპაში ეკონომიკური დახმარების ოთხწლიანი პროგრამის განხორციელებას, რომლის ფარგლებში, ბენეფიციარებმა მნიშვნელოვანი დახმარება მიიღეს. აღნიშნულმა ასევე ხელი შეუწყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას, აღმოსავლეთს (სადაც დომინირებდა საბჭოთა კავშირი) და დასავლეთს, შორის (შეერთებული შტატებით სათავეში) მუდმივ გამიჯვნას. ფაქტობრივად, მოცემული პროგრამა ხელს უწყობდა „არაკომუნისტური სამყაროს" კონსოლიდაციას.

ზოგადად, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რამაც სათავე დაუდო დაპირისპირებული სამხედრო ბლოკების ჩამოყალიბების პროცესს.

„მარშალის გეგმის" საბჭოთა ალტერნატივა, „მოლოტოვის გეგმა", რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც „COMECON" (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო), მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ბლოკში შემავალი

---

მთავარი გარანტი /; [რედ. ნატალია ბერუაშვილი] - თბ., 2008 – 367. გვ.23

[9] Vanderberrg Resolution, U. S. Resolution 239, 80th Congress, 2nd Session, 11th June 1948 (The Vandenberg Resolution) https://www.nato.int/ebookshop/video/declassified/doc_files/Vandenberg%20resolution.pdf

[10] Cížik Tomáš, Novák Peter, North Atlantic Treaty Organization (NATO), Centre for European and North Atlantic Affairs, 2015, pages 27, page 3

ქვეყნების აღდგენის ხელშეწყობას[11]. თუმცა, „COMECON“-ის რეალური მიზანი იყო სსრკ-ს მოკავშირეებისთვის დასავლეთ ევროპაში დახმარების ძიების ან მისი მიმართულებით გეზის აღების სურვილისა და უნარის აღმოფხვრა[12][13].

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის ერნესტ ბევინვის (Ernest Bevin) განცხადებით[14], „მარშალის გეგმამ“ საფუძველი ჩაუყარა არაკომუნისტური სამყაროს კონსოლიდაციის საწყისს. აღნიშნულმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ომის შემდგომი ევროპის რეფორმირებაში და ცენტრალურ ფაქტორად იქცა და 1949 წლის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის პროცესში.

„მარშალის გეგმის“ განხორციელებამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ მიღებულ სხვა ზომებთან ერთად, გააძლიერა ამ ქვეყნების გადაწყვეტილება კოლექტიური თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

დასავლეთ ევროპის, კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის შედგა მოლაპარაკებები ერთობლივი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის შესახებ, რომელიც ეფუძნება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის ორმხრივი ვალდებულებების და უსაფრთხოების გარანტიებს. ამ პროცესში მონაწილეობდნენ ნორვეგია, დანია, იტალია, ისლანდია და პორტუგალია.

აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შედეგი იყო 1949 წლის 4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა. ვაშინგტონის ხელშეკრულება, რომლის წინაპირობების ფორმირება მოხდა ზემოაღნიშნული დიუნკერკის და ბრიუსელის ხელშეკრულებების საფუძველზე, და

---

[11] The Cold War (1945–1989), CVCE.EU by UNI.LU, https://www.cvce.eu/content/publication/2011/11/21/6dfe06ed-4790-48a4-8968-855e90593185/publishable_en.pdf pages 28, page 9

[12] Cížik Tomáš, Novák Peter, North Atlantic Treaty Organization (NATO), Centre for European and North Atlantic Affairs, 2015, pages 27, pages 5

[13] Vojtech Mastny, ATO in the Beholder's Eye: Soviet Perceptions and Policies, 1949-56, COLD WAR INTERNATIONAL HISTORY PROJECT, Working Paper No. 35, Washington, D.C. March 2002 p.16

[14] Address given by Ernest Bevin (22 January 1948), https://www.cvce.eu/content/publication/2002/9/9/7bc0ecbd-c50e-4035-8e36-ed70bfbd204c/publishable_en.pdf

რომელსაც ხელი მოაწერეს ორგანიზაციის დამფუძნებელმა წევრებმა, შეიცავს 14 სტატიას, რომლებიც ასახავენ ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს[15].

1949 წელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე შეიქმნა თავდაცვითი ალიანსი ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპას შორის, რაც მიზნად ისახავდა ევროპის კონტინენტზე ძალების ომის შემდგომი ბალანსის შენარჩუნებას და მისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მოკავშირეთა უსაფრთხოების საფრთხე იყო აშკარა იყო საერთო და გააჩნდა კონკრეტული სახელი - საბჭოთა კავშირი. ალიანსის მკაფიო ფუნქცია განისაზღვრა შეკავებისა და დაცვის და სისტემის ორ პოლუსს შორის გამიჯვნის თვალსაზრისით.[16]

ორგანიზაციის ძირითადი განზრახვა აღწერილია შედარებით მოკლე ქარტიის მე -5 მუხლში. მკვლევარი ბრუნო ტერტრე (Bruno Tertrais) აღნიშნავს, რომ მეხუთე მუხლის ფორმულირება გახდა „მწვავე“ მოლაპარაკებების, დებატებისა და დავების საგანი[17], რომელთა შედეგადაც ევროპელმა და ჩრდილოეთ ამერიკელმა პარტნიორებმა მიაღწიეს კომპრომისს, და მუხლის საბოლოო ვერსია შემდეგნაირად ჟღერს:

***მუხლი 5[18]***

*მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ*

---

[15] Cížik Tomáš, Novák Peter, North Atlantic Treaty Organization (NATO), Centre for European and North Atlantic Affairs, 2015

[16] ჩიტაძე ნიკა, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი /; [რედ. ნატალია ბერუაშვილი] - თბ., 2008 – 367 გვ.25

[17] Tertrais Bruno, Article 5 of the Wahington Treaty: Its Origins, Meaning and Future Research Paper, Research Division – NATO Defense College, Rome – No.130 - April 2016

[18] ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 4 აპრილი, 1949 წ.https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

*კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. ნებისმიერი მსგავსი შეიარაღებული თავდასხმისა და მის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დასრულდება უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით შესაბამისი ზომების მიღებისთანავე.*

ბრუნო ტერტრეს თანახმად, აღნიშნული პუნქტი გახდა დაცვის ხანგრძლივ დროული ვალდებულება, როგორც ხელმომწერი ქვეყნების, ისე მთელი მსოფლიოსთვის მთელი მსოფლიოს. ნატო-ს შექმნის ძირითადი თავდაპირველი მიზანი კიდევ ერთი ორიგინალური ინტერპრეტაცია გაგვაცნო პირველმა გენერალურმა მდივანმა ჰასტინგს ისმაიმ (Hasting Ismay): *„რუსები - გარეთ, ამერიკელები - შიგნით და გერმანელები - ქვემოთ“*.[19]

1952 წლის თებერვალში ნატოში გაწევრიანდნენ თურქეთი და საბერძნეთი, 1955 წლის მაისში, დასავლეთ კავშირის ბაზაზე ბევრად უფრო ფართო დასავლეთევროპული კავშირის შექმნის შესახებ (რომელშიც აგრეთვე შევიდოდა დასავლეთ გერმანია) პარიზის შეთანხმებების ძალაში შესვლის შემდეგ (1954 წ.) ბლოკის წევრი გახდა დასავლეთ გერმანია. 1982 წლის მაისში ნატოს მე -16 წევრი გახდა ესპანეთი.

[19] Hanson Victor Davis, Lord Ismay, NATO, and the Old-New World Order, July 5, 2017, https://www.nationalreview.com/2017/07/nato-russians-out-americans-germans-down-updated-reversed/

## 1.2 ნატოს როლი ცივი ომის პერიოდში. განიარაღების პოლიტიკა

სანამ გავაანალიზებთ ნატოს როლს ცივი ომის მსვლელობისას განიარაღების პოლიტიკის ფორმირებაში, განვიხილოთ, როგორ გაჩნდა და რა იგულისხმება ცივი ომის ცნების ქვეშ. ეს დაგვეხმარება იმ ისტორიული ვითარებებისა და მდგომარეობის გაგებაში, რომელშიც ალიანსს უწევდა მოქმედება.

ცივი ომის ცნების ფენომენის გენეალოგიასა და მის შინაარს მრავალი კვლევა ეძღვნება. სხვადასხვა წყაროები მიანიშნებენ, რომ ფრაზა „ცივი ომი“ ცალკე ცნების სახით პირველად გაჩნდა 1945 წლის ოქტომბერში ჯორჯ ორუელის (George Orwell) ესეში „თქვენ და ბირთვული იარაღი“.[20] ესეში განიხილებოდა ის პოლიტიკური შედეგები, რომლებიც იაპონიაზე ბირთვული ბომბების ჩამოგდებას მოჰყვა. ორუელის აზრით, ატომური იარაღი მალე მიგვიყვანს ორი ან სამი ბირთვული ზესახელმწიფოს დომინირებამდე, რომლებიც მოილაპარაკებდნენ არ გამოეყენებინათ ატომური იარაღი ერთმანეთის წინააღმდეგ, მაგრამ იქნებოდნენ მუდმივი „ცივი ომის“ მდგომარეობაში. ოფიციალური ტრიბუნიდან „ცივი ომის“ კონცეფცია პირველად გაჟღერდა 1947 წლის აპრილში ბერნარდ ბარუხის (Bernard Baruch) მიერ, რომელიც იმ პერიოდში წარმოადგენდა აშშ-ს გაეროს ატომური ენერგიის კომისიაში(UNAEC), და ასევე იყო აშშ-ს პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის მრჩეველი. მოგვიანებით „ცივი ომის“ კონცეფციამ ფართო გავრცელება მიიღო უოლტერ ლიპმანის (Walter Lippmann) წიგნის წყალობითაც.[21]

განსხვავდება შეხედულებები „ცივი ომის“ არსისა და პერიოდიზაციაზე. ფინელი მკვლევარი იუკკა ლეინონენი (Jukka Leinonen) თავის წიგნში[22] აღნიშნავს, რომ დესმონდ დონელმა (Desmond Donnelly) „ცივი ომი“ განმარტა, როგორც ,,იმპერიალისტური ბრძოლა, რომლის ფესვების მოპოვება შესაძლებელია XIX

[20] Roberts Geoffrey, Starting the Cold War, History Review Issue 38 December 2000

[21] Leinonen Jukka, Beginning of the Cold War as a Phenomenon of Realpolitik U.S. Secretary of State James F. Byrnes in the Field of Power Politics 1945 – 1947, Academic dissertation, Jyväskylä Studies in Humanities, ISBN 978-951-39-4686-9 (PDF)

[22] Ibidem

საუკუნის კონფლიქტებში რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ცენტრალურ აზიაში“. მიუხედავად ამისა, მკვლევართა დიდი ნაწილის აზრები ერთმანეთს ემთხვევა იმაში, რომ ,,ცივი ომი” დაკავშირებული იყო რადიკალურ ცვლილებებთან, რომლებიც მოხდა ომისშემდგომ ევროპაში, როდესაც საბჭოთა კავშირი დაუპირისპირდა ევროპული ძალთა ბალანსს. ცივი ომის გენეზისი მჭიდროდ დაუკავშირდა ომისშემდგომ პოლიტიკას, როდესაც საბჭოური მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოვიდა დასავლურ აზროვნებასთან. ბევრი მკვლევარისთვის „ცივი ომი“ იყო კონცეფცია, რომელიც ეხებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების განსაზღვრულ ეტაპებს, და არა თვით ამ კონფრონტაციას.[23]

რაც შეეხება მოცემული ტერმინის აზრობრივ დატვირთვას, ,,ცივი ომი“ იყო იდეოლოგიური ომი, რომელიც ხასიათდებოდა დაძაბულობით, შიშით, საომარი კამპანიებით, ეჭვით, კონფლიქტებით - საბჭოთა კავშირის მეთაურობით აღმოსავლური კომუნისტური ბლოკსა და აშშ-ს მეთაურობით დასავლურ კაპიტალისტურ ბლოკს შორის, დაპირისპირებით დემოკრატიულ ღირებულებებს და კომუნიზმს შორის. ეს არ იყო შეიარაღებული ბრძოლის მდგომარეობა, არამედ იყო სიტუაცია, რომელშიც მეტოქეები, აშშ და სსრკ, ინარჩუნებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობებს მშვიდობიან დროს, თუმცა ფარულად აგრძელებდნენ მტრობის, საბოტაჟის და დიპლომატიური აგრესიის შენარჩუნებას ერთმანეთის მიმართ.[24] რიგი ავტორები აღნიშნავენ საინტერესო დაკვირვებას, რომლის თანახმად თვითონ ტერმინი „ცივი ომი“ ძირითადად გამოიყენებოდა *„დასავლურ სივრცეში და პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა აღმოსავლურ ბლოკში 1989 წლამდე*“. [25]

---

[23] Manke Albert, Březinová Kateřina, Blecha Laurin, Conceptual Readings into the Cold War: Towards Transnational Approaches from the Perspective of Latin American Studies in Eastern and Western EuropePrint version ISSN 0103-2186On-line version ISSN 2178-1494; Estud. hist. (Rio J.) vol.30 no.60 Rio de Janeiro Jan./Apr. 2017

[24] Cížik Tomáš, Novák Peter, North Atlantic Treaty Organization (NATO), Centre for European and North Atlantic Affairs, 2015

[25] Manke Albert, Březinová Kateřina, Blecha Laurin, Conceptual Readings into the Cold War: Towards Transnational Approaches from the Perspective of Latin American Studies in Eastern and Western EuropePrint version ISSN 0103-2186On-line version ISSN 2178-1494; Estud. hist. (Rio J.) vol.30 no.60 Rio de Janeiro Jan./Apr. 2017

ცივი ომის ერთ-ერთი პირველი კრიზისული მომენტი გახდა კორეის ომი 1950 წელს, რომელმაც დააჩქარა პირველი რესტრუქტურიზაციის პროცესი, რომელიც ხელს უწყობდა ნატოს ჩამოყალიბებას ინტეგრირებულ სამხედრო ორგანიზაციად და ევროპაში ამერიკული ძალების წარმომადგენლობის გაზრდას.[26,27] კორეის კრიზისმა ასევე ხელი შეუწყო ნატოს გეოგრაფიული გაფართოების პროცესს, რადგანაც ზუსტად ამ პერიოდში მისი წევრები გახდა თურქეთი, საბერძნეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ 1955 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელმაც განსაზღვრა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის - „ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების" სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. მისი შექმნა გახდა თავისებური საპასუხო ზომა ნატოს ფორმირებაზე. გასული საუკუნის პერიოდს კორეის ომიდან 50-იანების შუა წლებამდე ეძახიან ბიპოლარული სამყაროს რთული პოლიტიკური გარემოს „პირველ განტვირთვას".

1956 წლის სუეცის, 1959-1962 წლების ბერლინისა და 1962 წლის კუბის ქობინთა კრიზისმა გამოაჩინეს პოლიტიკური კონსულტაციების არასაკმარისი დონის პრობლემა ნატოს შიგნით, სხვადასხვა შეხედულებები აღმოსავლეთის ბლოკთან ურთიერთობების განტვირთვის პოლიტიკაზე. თუმცა, საკვანძო მოვლენა ორგანიზაციის ისტორიაში გახდა საფრანგეთის უპრეცედენტო გადაწყვეტილება 1966 წელს დაეტოვებინა სამხედრო ალიანსი, და შემდგომი ურთიერთობების „დათბობა" საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყეს საზოგადოებრივი დებატების გაძლიერებას ნატოს აქტუალობის შესახებ. ალიანსის წინაშე დადგა კრიზისიდან გამოსვლის ამოცანა, სტრატეგიისა და პოლიტიკური

[26] Lafeber Walter, NATO and the Korean War: A Context, Diplomatic History, Volume 13, Issue 4, October 1989, Pages 461–477, https://doi.org/10.1111/j.1467-7709.1989.tb00067.x

[27] NSC-68 and the Korean War, https://history.state.gov/departmenthistory/short-history/koreanwar

ფუნქციის გადახედვა, თავისი როლის განსაზღვრა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების გაფართოებაში.

ამ პროცესში არსებითი როლი ითამაშა ე.წ ჰარმელის  მოხსენებამ (Harmel Report). პიერ ჰარმელი, ბელგიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ცდილობდა შეეჩერებინა ნეგატიური ტენდენციები და გამოეცოცხლებინა ჩრდილოატლანტიკური კავშირი.[28]

მან ინიცირება გაუკეთა ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარებას, რომელსაც მიღების შემდეგ შეარქვეს, „საბჭოს მოხსენება ალიანსის მომავალ დავალებებზე“. შვეიცარელი პროფესორი ანდრეას ვენგერი (Andreas Wenger) აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი იყო, რომ კვლევის ჩატარების ინიციატივა მოდიოდა პატარა ევროპული ქვეყნისგან, რადგანაც ეს აძლიერებდა იმ აზრს, რომ *„ალიანსის რეფორმირება გეზს აიღებს ნაკლებად ჰეგემონისტური და იერარქიული სტრუქტურების მიმართულებით*“.[29]

კვლევის მიზანი იყო ანალიზი გაეკეთებინა ბოლო ოცი წლის მოვლენებისათვის, შეეფასებინა მათი გავლენა ნატოზე, და ასევე განესაზღვრა ალიანსის მომავალი დავალებები 1969 წლის შემდგომ პერიოდზე. კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფები განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ურთიერთობები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, საერთო თავდაცვითი პოლიტიკა და ბალანსი ნატოს სამხედრო და პოლიტიკურ როლებს შორის. ფინალური ანგარიში შეეხო ორგანიზაციის ყველა ასპექტს, ფუნქციებს და ორგანიზაციის სტრატეგიულ მიმართულებას.

2017 წელს ჰარმელის მოხსენების შეფასებისას, ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწეს მოადგილემ უსაფრთხოების აღმოჩენებად გამოწვევებში ჯეიმი შინმა

[28] Shea Jamie, How the Harmel Report Helped Build the Transatlantic Security Framework, January, 2018, https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/how-the-harmel-report-helped-build-the-transatlantic-security-framework

[29] Wenger Andreas, The Multilateralization of Détente: NATO and the Harmel Exercise, 1966-68, NATO's Harmel Report, 1966/67 Parallel History Project (PHP)

(Shea Jamie) განაცხადა, რომ „მოხსენებამ არა მხოლოდ თავიდან ააცილა ალიანსს გამოუსწორებელი ზიანი, რომელიც შესაძლოა გაჩენილიყო მოკავშირეებს შორის პოლიტიკური უთანხმოებების შედეგად, არამედ მიიყვანა რიგი ინიციატივების ამოქმედებამდე *„შეიარაღების რბოლის“ შეჩერებაში და დაძაბულობის შესუსტებაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.*[30]

მოხსენების განსაკუთრებული მნიშვნელობა იყო, რომ შემოღებული იქნა ტერმინი „უსაფრთხოების პოლიტიკა“ <u>უსაფრთხოების გაფართოებული განსაზღვრების</u> აღსანიშნად, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ თავდაცვის საკითხებს, არამედ კონტროლს შეიარაღებასა და განიარაღებაზე.[31]

ნატომ მიიღო ახალი ხედვა, თუ როგორ უნდა იმოძრაოს წინ. ახალი ორკომპონენტიანი (two-pillar) სტრატეგია დაფუძნებული იყო ორ ელემენტზე[32]:

- საკმარისი სამხედრო სიმძლავრის და პოლიტიკური სოლიდარობის შენარჩუნება აგრესიის და ზეწოლის სხვა ფორმების შესაკავებლად და ნატოს ქვეყნების ტერიტორიების დაცვისთვის აგრესიის გაჩენის შემთხვევაში;
- რეალისტური ზომების განხორციელება დაძაბულობის და კონფლიქტების რისკის შემცირებაში, შეიარაღების და განიარაღებაზე კონტროლის ზომების ჩათვლით.

პირველად თავის ისტორიაში ნატო განისაზღვრა როგორც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ნამდვილი კოორდინირებადი ფუნქციით განტვირთვის ფორმირებაში. ჰარმელის მოხსენებაში ხაზი ესმევა იმას, რომ „სამხედრო უსაფრთხოება და განტვირთვის პოლიტიკა კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ

---

[30] Shea Jamie, How the Harmel Report Helped Build the Transatlantic Security Framework, January, 2018, https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/how-the-harmel-report-helped-build-the-transatlantic-security-framework

[31] Locher Anna, Nuenlist Christian (eds.), The Multilateralization of Détente: NATO and the Harmel Exercise, 1966-68, NATO's Harmel Report, 1966/67 Parallel History Project (PHP)

[32] Locher Anna, Nuenlist Christian (eds.), The Multilateralization of Détente: NATO and the Harmel Exercise, 1966-68, NATO's Harmel Report, 1966/67 Parallel History Project (PHP)

ერთმანეთს“ და აფართოებენ ნატოს მიდგომას უსაფრთხოებისადმი მასში პოლიტიკურ-დიპლომატიური განზომილების ჩართვით.

ნატოს მიერ მოხსენების დასკვნების მიღებამ პირდაპირ და თითქმის მაშინვე მიგვიყვანა ,,შეიარაღების რბოლის“ შეჩერებაში ინიციატივების გაჩენამდე და დაძაბულობის შესუსტებამდე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

დაწყებული 1973 წლიდან 1989 წლამდე დაიწყო მოლაპარაკებათა სერია ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის, რომლებიც ცნობილია, როგორც მოლაპარაკებები სამხედრო ძალების ურთიერთბალანსირებული შემცირებისთვის ((Mutual Balanced Force Reduction (MBFR)). მიუხედავად იმისა, რომ გაწელილი მოლაპარაკებების შედეგად MBFR-ში არ მოხერხდა ხელშეკრულების დადება, 1990 წელს მათი შედეგები გამოიყენეს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ (Conventional Arms in Europe Treaty (CFE)) ხელშეკრულებისთვის ნიადაგის ფორმირებაში. CFE გახდა შეიარაღებაზე კონტროლის, ნდობის გამაგრებისა და ევროპაში უსაფრთხოების ერთერთი ქვაკუთხედი. ეს ხელშეკრულება ხელს უწყობდა სამხედრო გამჭვირვალობის არსებით გაზრდას, ისეთ მძიმე სამხედრო ტექნიკაზე ზღვარის დადგენას, როგორებიცაა ტანკები და თვითმფრინავები.[33]

შეიარაღებაზე და განიარაღების კონტროლის პოლიტიკამ ასახვა ჰპოვა ნატოს სტრატეგიული დოკუმენტების მთელ რიგში. კერძოდ, 1989 წელს ნატომ შეიმუშავა და მიიღო შეიარაღებაზე და განიარაღების კონტროლის ყოვლისმომცველი კონცეფცია. მოცემული საბუთი განიხილავდა შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებს:

- აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში შეიარაღების კონტროლის როლს;
- პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც განსაზღვრავენ ნატოს პოლიტიკას ბირთვულ და ქიმიურ იარაღზე და ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში;

[33] Shea Jamie, How the Harmel Report Helped Build the Transatlantic Security Framework, January, 2018, https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/how-the-harmel-report-helped-build-the-transatlantic-security-framework

- ურთიერთმიმართებას შეიარაღებაზე კონტროლსა და თავდაცვით პოლიტიკას შორის[34].

ალიანსის თანმიმდევრობა და ერთგულება შეიარაღების კონტროლის და განიარაღების პოლიტიკისადმი აისახება ისეთ საკვანძო დოკუმენტებში, როგორებიცაა 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია, შეკავებისა და ნატოს თავდაცვის მშენებლობის მიმოხილვა (2012).[35]

2016 წელს ვარშავაში შეხვედრის დეკლარაციაში ჩრდილოატლანტიკურმა კავშირმა ისევ დაამტკიცა მისი დიდხნიანი ერთგულება ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლისადმი როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების საკვანძო შემადგენელისა და ხაზი გაუსვა სავსებითი შესრულების მნიშვნელობას და დაცვას ნდობისა და რწმენის აღდგენისათვის.

**ნატოს განიარაღების პოლიტიკა დღეს.** შეიარაღების კონტროლის პოლიტიკის რეალიზაცია, განიარაღების პოლიტიკის ჩატარება ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის ფარგლებში:

- პირველი კომპონენტი-დიალოგის განვითარების ხელშეწყობა რამდენიმე დონეზე-ნატოს სახელმწიფო-წევრებს შორის, ნატოს სახელმწიფო-წევრებსა და პარტნიორებს შორის, და ასევე სხვა აქტორებს შორის.
- მეორე კომპონენტი-ნატოს თანამშრომლობა გაეროსთან, ევროპის საბჭოსთან და სხვა ორგანიზაციებთან მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებში.[36]
- მესამე კომპონენტი-ნატოს ქვეყნების მონაწილეობა სხვადასხვა ხელშეკრულებებში, რომლებიც ეხება შეიარაღების სხვადასხვა ტიპების რეგულირებასა და/ან აკრძალვას. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ხელშეკრულებები:

- ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ

[34] Arms control, disarmament and non-proliferation in NATO, 08 Feb. 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_48895.htm?selectedLocale=en
[35] Ibidem
[36] Ibidem

- ოტავას კონვენცია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, მარაგის დაგროვების, წარმოების და გადაცემის აკრძალვაზე და მათ განადგურებაზე,
- ხელშეკრულება ბირთვული იარაღის არგავრცელებაზე
- კონვენცია ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ
- მეოთხე კომპონენტი-მხარდაჭერის აღმოჩენა სახელმწიფო-პარტნიორებისთვის ყოფილი სამხედროების გადამზადებაში და შეიარაღების განსაზღვრული სახეობების ზედმეტი მარაგის განადგურებაში.

## 1.3 ნატოს პოლიტიკა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი უსაფრთხოების საკითხებში

ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე მზარდი გავლენისა და მდგრადობის გამო მკვლევართა შორის ინტერესს იწვევდა, რომლებიც ცდილობდნენ მისი არსებობის ანალიზირებას ალიანსების თეორიების, ძალთა ბალანსის, პოლიტიკური მეცნიერებების არსებული სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულებების და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის გათვალისწინებით.

როგორც წესი, ალიანსები წარმოადგენენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ტიპს ან მართვის ფორმას, რომლის მიზანია წევრების შესაძლებლობების გაერთიანება მათი ინტერესების გათვალისწინებით.[37] სახელმწიფოსა და კოალიციის საერთო შესაძლებლობების შესაფასებლად მნიშვნელოვან ანალიტიკურ კონცეფციას წარმოადგენს ძალთა ბალანსის თეორია, რომელიც წარმოდგენილია ისეთი მკვლევარების მიერ, როგორიცაა ლისკა (George

[37] Fedder Edwin H., The Concept of Alliance, International Studies Quarterly, Volume 12, Issue 1, March 1968, pp65–86, p.68

Liska)[38], მორგენთაუ (Hans Morgenthau)[39] და ა.შ. ძალთა ბალანსის შექმნის ფუნდამენტური მიზანი არის ინდივიდუალური ქვეყნების უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, რომელშიც არც ერთი სუბიექტი არ უნდა დომინირებდეს სხვებზე. აღნიშნული თეორიის ხედვის თანახმად, ალიანსები წარმოადგენენ გაერთიანებებს, რომელთა ქმედებები ეფუძნება რაციონალურად მოტივირებულ შეთანხმებას. კერძოდ, მორგენთაუ, რომელიც განიხილავს ალიანსებს მიზნების, საშუალებების, ხარჯების, სარგებლის თვალსაზრისით, ამტკიცებს, რომ ქვეყნები ქმნიან ალიანსებს მზარდი ძალების კომპენსაციისთვის და ბალანსის ან წონასწორობის აღსადგენად. მორგენთაუ ასევე ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქვეყნები ქმნიან ალიანსებს, რათა გაზარდონ თავიანთი უსაფრთხოება ძლიერი პოტენციური კანდიდატების მიერ გამოწვეული საფრთხეების დაბალანსების მიზნით. ტრადიციულად, ლიტერატურა ალიანსების გაანალიზებისას ცდილობს უპასუხოს კითხვას, თუ რატომ იქმნება ალიანსები და რა აკავებს ალიანსს დაშლისგან. 1979 წელს უოლტმა (Walt) ალიანსების ფორმირებისთვის სხვადასხვა მოტივების გათვალისწინებით, წარმოადგინა მათი ფორმირების შემდეგი სტრატეგიები - "დაბალანსება" (balancing) ან "გამარჯვებულ მხარესთან მიტმასნება“ (bandwagoning).[40]

კრიტიკული შეხედულებებს ტრადიციულ ლიტერატურაზე ალიანსების შესახებ, რომელსაც ძირითადად წარმოდგენილია რეალისტებისა და ნეორელისტების მიერ, გვთავაზობს რობერტ მაკკალა (Robert B. McCalla) მის 1996 წლის ნაშრომში „ნატო–ს არსებობა ცივი ომის შემდეგ“. მისი თქმით, ამ ნაშროებს აქვთ ვიწრო მიდგომა. ალიანსების შექმნის წინაპირობებზე, წევრობის პირობებზე,

[38] Liska George, Nations in Alliance: The Limits of Interdependence, Johns Hopkins University Press, 1962 - Alliances - 301 pages

[39] Morgenthau, Hans J. (Hans Joachim), Politics among nations : the struggle for power and peace . ImprintBoston : McGraw-Hill Higher Education, c2006

[40] Walt Stephen M., Alliance Formation and the Balance of World Power Author(s): Source: International Security, Vol. 9, No. 4 (Spring, 1985), pp. 3-43

ქმედებების წარმატება/ წარუმატებლობაზე კონცენტრირებით, ეს მიდგომები არ იძლევიან პასუხს კითხვაზე, თუ როგორ შენარჩუნდეს ალიანსი მას შემდეგ, რაც მისი საწყისი კატალიტიკური საფრთხე გაქრა. როგორც წესი, ეს ანალიტიკური ნაშრომები იმ დასკვნით სრულდება, რომ საფრთხის არარსებობის შემთხვევაში ალიანსის არსებობა შეუძლებელია. ზუსტად ასე ფასდებოდა ნატოს მომავალი ცივი ომის დასრულების შემდეგ. ითვლებოდა, რომ სსრკ-ს და შესაბამისად მისგან მომავალი საფრთხის გაუჩინარებასთან ერთად, ნატოც აღარ იარსებებდა. მიუხედავად ამისა, დღეს ნატო აგრძელებს არსებობას ისეთი ინსტიტუციონალიზაციის დონეზეა, რომელიც არ აიხსნება მხოლოდ საფრთხეების არსებობით. ნატო რჩება, როგორც ერთ–ერთმა ანალიტიკოსმა აღნიშნა, "ევროპაში წამყვანი უსაფრთხოების ორგანიზაცია".[41]

ალიანსმა გააფართოვა ურთიერთობები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა ხელი შეუწყოს მისი ევროპაში და, ნაკლებად, ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში ჩამოყალიბებას. ამგვარად, ნატო-მ გამოავლინა როგორც ორგანიზაციებისგან, ისე საერთაშორისო ინსტიტუტებისგან მოსალოდნელი მოქნილობა. მაკკაუ განმარტავს ამ ორგანიზაციული განვითარების მაღალ დონეს, რომელიც საშუალებას აძლევს შეამსუბუქოს და შეამციროს გაუჩინარებასთან დაკავშირებული საფრთხეების  გავლენა (ამასთანავე, იმის მტკიცების გარეშე, რომ საფრთხის არარსებობის პირობებში ალიანსი აუცილებლად შეინარჩუნებს არსებობას). ალიანსის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია ფუნქციების ფართო სპექტრი, რაც ზრდის ცვალებად პირობებში ტრანსფორმაციის შესაძლებლობას.[42]

ნატო-ს ორგანიზაციულ მდგრადობას დიდწილად განაპირობებს ორგანიზაციის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები. როგორც

[41] McCalla Robert B., NATO's persistence after the cold war. (North Atlantic Treaty Organization), International Organization, Summer 1996 50 n3 p445-475.
[42] Ibidem

მარტინას ზაპოლსკისი (Martynas Zapolskis) წერს: „ნატო შეიძლება ჩაითვალოს ტრანსატლანტიკური კავშირის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ და პოლიტიკურ გამოხატულებად, რომელიც ეფუძნება ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას შორის განუყოფელი უსაფრთხოების პრინციპს, რომელიც გამორიცხავს სისტემის შიგნით ძალთა ბალანსს და საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს გარე უსაფრთხოების გამოწვევებზე“.[43]

ნატო-ს ზოგადი სტრუქტურისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვამდე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კიდევ ერთია თეორიული ჩარჩო, რომელსაც ნატო ეფუძნება: "თანამშრომლობითი უსაფრთხოების" კონცეფცია (Cooperative security).

მიხალკა, მისი ნაშრომში „თანამშრომლობითი უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში“ მიუთითებს, რომ აღნიშნული ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა ინტერპრეტაციებში და ასახავს სახელმწიფოთა ერთობლივ მუშაობას.[44]

იგი ხშირად გამოიყენება როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ტერმინის (collective security) სინონიმი, მაგრამ ამ ტერმინს, რავენალის (Earl Ravenal) მიხედვით, აქვს ვიწრო მნიშვნელობა უსაფრთხოების სისტემის ტიპის აღწერისთვის "როდესაც სახელმწიფოები თანხმდებიან იმოქმედონ ერთად სისტემის ერთ–ერთი წევრის წინააღმდეგ, რომელიც აგრესიულ ქმედებებს აწარმოებს სხვა წევრის მიმართ”.[45] მიხალკა ასევე გამოყოფს ისეთ კონცეფციებს, როგორიცაა ზოგადი უსაფრთხოება (common security) (სიტუაცია, როდესაც საერთო საფრთხე თანაბრად ახდენს ზეგავლენას სახელმწიფოებზე) და "ყოვლისმომცველი უსაფრთხოება" (comprehensive security) (უსაფრთხოების სისტემა, რომელიც მოიცავს ტრადიციულ

[43] Zapolskis Martynas, Institute of International Relations and Political Science,Vilnius University, p.35-56 10.2478/v10243-012-0012-5

[44] Mihalka Michael,Cooperative security in the 21st Century, Philosophy and Public Affairs 30 (4):387-416 (2001)

[45] Ravenal, E.C., „An Autopsy of Collective Security“, Political Science Quarterly, 90(4), 1976, 697-714.

და არატრადიციულ საფრთხეებს).[46] გარეთ ევანსი (Gareth Evans), სტატიაში "თანამშრომლობითი უსაფრთხოება და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი" (Cooperative Security and Intrastate Conflict) წერს, რომ თანამშრომლობითი უსაფრთხოება არის კონცეფცია, რომელიც მოიცავს ზემოხსენებულ სამივე კონცეფციას.[47]

რ. კოენი (R. Cohen) თანამშრომლობით უსაფრთხოებას გარკვეულწილად განსხვავებულად ხედავს. მან გამოყო თანამშრომლობითი უსაფრთხოების სისტემის ოთხი განზომილება, რომელშიც შედიოდა ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა და სტაბილურობის ხელშეწყობა.[48]

კოლექტიური თავდაცვის პრინციპი არის ვაშინგტონის ხელშეკრულების არსი. ნატო-ს ოფიციალური წყაროები აღნიშნავენ, რომ ეს პრინციპი რჩება *"უნიკალურ და მდგრად პრინციპად, რომელიც აერთიანებს მის წევრებს, ავალდებულებს მათ დაიცვან ერთმანეთი და აძლიერებს სოლიდარობის სულისკვეთებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში*".[49]

ოფიციალური წყაროები ასევე მიუთითებენ იმაზე, რომ ნატოს ერთ-ერთი ბოლო სტრატეგიული კონცეფციაში (2010) შეტანილ იქნა კოოპერატიული უსაფრთხოების მიდგომა. ნატო-ს მიდგომამ თანამშრომლობით უსაფრთხოებაში გააერთიანა მისი საქმიანობის ყველა პრაქტიკული კომპონენტი, რაც მოითხოვს მაღალი დონის თანამშრომლობას - პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერების, იარაღის კონტროლის, გაუვრცელებლობის და განიარაღების და ახალი ქვეყნების დახმარებას ნატოში გაწევრიანებისთვის მომზადების მიზნით. ნატო-სთვის

---

[46] Mihalka Michael,Cooperative security in the 21st Century, Philosophy and Public Affairs 30 (4):387-416 (2001)

[47] Gareth Evans, Cooperative Security and Intrastate Conflict, Foreign Policy, No. 96 (Autumn, 1994), Slate Group, pp. 3-20

[48] Cohen Richard, Mihalka Michael, Cooperative Security: New Horizons for International Order, The Marshall Center Papers, No. 3, 2001, The George C. Marshall European Center for Security Studies, pages 88

[49] Collective defence - Article 5, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm

„თანამშრომლობითი უსაფრთხოება" უზრუნველყოფს ალიანსსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობების სუფთა სამხედროდან სამხედრო-პოლიტიკურ ფაზაზე გადასვლას, სადაც ადგილი აქვს სხვადასხვა კრიზისებს.[50]

დღესდღეობით ნატო ჩამოყალიბებული ალიანსია, რომლის ყველა გადაწყვეტილებაც კონსენსუსის საფუძველზე მიიღება, რაც გულისხმობს ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობას. კონსენსუსის პრინციპი გამოიყენება ნატოს ყველა დონეზე. გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღვის მონაწილე ქვეყნებს შორის დისკუსიები და კონსულტაციები. მუდმივი კონსულტაციების რეჟიმი რეგულარულად ტარდება, რაც უმეტეს შემთხვევაში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.

ალიანსის წევრები რეგულარულ საფუძველზე შეხვედრებს მართავენ, ერთად მუშაობენ ინსტიტუციონალურ ქვე–სტრუქტურებში, რაც ხელს უწყობს მონაწილე ქვეყნების საერთო იდენტურობის ფორმირებას, რაც, თავის მხრივ, ჯონ დაფილდის (John Duffield) თქმით, ეხმარება მათ "*განიხილონ ალიანსის ინტერესებიდან გამომდინარე წარმოებული ოპერაციები განიხილონ მათ საკუთარ ეროვნულ ინტერესებთან დამატებით".*[51]

ალიანსი ფუნქციონირება ხორციელდება „თანამშრომლობითი უსაფრთხოების" პრინციპის საფუძველზე, თუმცა, როგორც დაფილდი აღნიშნავს, ძნელია არ შევამჩნიოთ ის ფაქტი, რომ წევრი ქვეყნები ალიანსში მონაწილეობას კვლავ ხედავენ მათი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ნატო-ს ეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთი გამოწვევაა. დიფილდი ამ თვალსაზრისით საუბრობს

[50] Cooperative Security as NATO's Core Task, Building security through military cooperation across the globe, 2011, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77718.htm?selectedLocale=en

[51] Duffield John S., NATO's Functions after the Cold War, Political Science Quarterly, Vol. 109, No. 5 (Winter, 1994-1995), The Academy of Political Science pp. 763-787

"უსაფრთხოების პოლიტიკის დენაციონალიზაციაზე", როდესაც ალიანსის ინტერესებს ცალკეული სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა ყენდება.[52]

ნატო-ს ფუნქციონალური შესაძლებლობები დაყოფილია სამ სტრუქტურას შორის – სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი (სამხედრო გადაწყვეტილებების შესახებ წინადადებები), ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი (განიხილავს ბირთვულ ძალებთან დაკავშირებული პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებს) და ჩრდილოატლანტიკური საბჭო (მმართველი ორგანო, რომელიც მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შეთანხმებების მიღწევის გზით).

ამ სტრუქტურების მუშაობა და ურთიერთქმედება მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ თავის კონტექსტის თემატიკაში უმჯობესია ყურადღება შევაჩეროთ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (North Atlantic Council (NAC) მუშაობაზე, რომელიც პასუხისმგებელია *"წევრთა შორის ყოვლისმომცველი კონსულტაციების ჩატარებაზე ყველა საკითხზე, რომელიც ეხება მათ მშვიდობასა და უსაფრთხოებას".* NAC- ის ტექნოლოგია საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს კონსენსუსი, როდესაც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში "არც ერთი მთავრობა არ აცხადებს თავის პროტესტს", რომელიც არ მოიცავს მოქმედებისთვის ფორმალურ ხმის მიცემას. ნატოს მიერ გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთი ტექნოლოგია არის ე.წ. დუმილის პროცედურა. ეს ტექნიკა ასევე გამოიყენება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა გაერო (UN) და ეუთო (OSCE), რადგანაც "დუმილი" ასეთი მრავალმხრივი ჯგუფების კონტექსტში გულისხმობს ერთობლივი მუშაობისთვის მზაობას, რათა შეიზღუდოს შეფერხების შესაძლო მიზეზები. ნატოში ეს პროცედურა გამოიყენება იმ შემთხვევებში, თუ ზოგიერთ მონაწილე ქვეყანას არ აქვს პოზიცია შეხვედრის დროს ნებისმიერ დონეზე.

[52] Ibidem

საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვთ იგივე სტატუსი და იურიდიული ძალა, ნებისმიერ დონეზე. აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი ორგანო, რომელიც დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით (მუხლი 9) 1949 წელს და აქვს უფლებამოსილება შექმნას დამხმარე ორგანოები.[53] NAC- ის საქმიანობა ხორციელდება გენერალური მდივნის თავმჯდომარეობით და ეყრდნობა „სპეციალიზირებული კომიტეტების მხარდაჭერას", როგორებიცაა პოლიტიკის საკოორდინაციო ჯგუფი, პოლიტიკური კომიტეტი, სამხედრო კომიტეტის და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის მთავარი კომიტეტი. იგი ასევე მაქსიმალურად იყენებს არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების შესაძლებლობებს, მათ შორის, ნატოს სიტუაციების შეფასების ცენტრს, რომელიც მუდმივად და უწყვეტად, უქმეების გარეშე, აგროვებს და ავრცელებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაზვერვის მონაცემებსა და ინფორმაციას".

NAC-ის ფუნქციები ასევე მოიცავს ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფციების შემუშავება და მიღება, რომლებიც წარმოადგენენ ფუნდამენტურ პოლიტიკურ დოკუმენტებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ალიანსი, სადაც განისაზღვრება ფუნდამენტური უსაფრთხოების ამოცანები. ნატოს მიდგომების ტრანსფორმაცია ასევე ნათლად ჩანს სტრატეგიული კონცეფციების ფორმირების მიდგომებში: თუ თავდაპირველ ეტაპზე ეს დოკუმენტები იყო საიდუმლო, აბა 1991 წლიდან სტრატეგიები თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მასალები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი ბოლო კონცეფცია შემუშავდა 2010 წელს. დოკუმენტი მომზადდა სრულიად განსხვავებულ ევროპული და გლობალური უსაფრთხოების გარემოში და ახალი სტრატეგიის საჭიროება უკვე აშკარაა.[54]

[53] North Atlantic Council, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49763.htm

[54] Burns Nicholas, Lute Douglas, NATO at Seventy: An Alliance in Crisis, Report, Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School, Feb. 2019

ნატო-ს შესწავლისას, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებთან ერთად სასარგებლოა ორგანიზაციული განვითარების თეორიების გამოყენება. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ ორგანიზაციის ქცევის დინამიკა, შიდა და გარე ურთიერთქმედება. ასევე შეგვიძლია დავეთანხმოთ მაკკალას იმ მტკიცებაში, რომ *„მაშინ, როდესაც ნატო-ს ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების მაღალი ხარისხი განასხვავებს მას სხვა ალიანსებისაგან, მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ვარაუდობს, რომ უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოთა სამომავლო ძალისხმევა ბუნებით უფრო მრავალმხრივი იქნება და უფრო დიდ ინსტიტუციურ განვითარებას წარმოაჩენს, ვიდრე წარსულში“.*[55]

[55] McCalla Robert B., NATO's persistence after the cold war. (North Atlantic Treaty Organization), International Organization, Summer 1996 50 n3 p445-475.

# თავი II. ნატოს ჩართულობა კონფლიქტების დარეგულირებაში და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

## 2.1 ნატოს როლი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში

ახალი მსოფლიო, ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უფრო ღია და დემოკრატიული გახდა, მაგრამ ის ასევე ახასიათებდა ახალი საფრთხეების წარმოქმნით, დაძაბულობისა და არასტაბილურობის მაღალი დონით. ერთ–ერთი ექსპერტის აზრით, "ცივი ომის" შეცვალა "ცხელმა მშვიდობამ".[56] ომი სპარსეთის ყურეში, ვარშავის პაქტის ორგანიზაციების დაშლა, ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლა და ბალკანეთში აღმოცენებული კონფლიქტი იქცნენ ამ პერიოდის დასაწყისის ცენტრალური მახასიათებლები. მსოფლიო მკვეთრად გაიზარდა ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვი. სხვადასხვა მონაცემებით, 1990-დან 1995 წლამდე პერიოდში მსოფლიოში მიმდინარეობდა 93–ზე მეტი ომი, რომელშიც მონაწილეობდა 70 სახელმწიფო, რომლებშიც ხუთნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა.[57] საერთაშორისო სისტემამ ვერ შეძლო მოქნილი რეაგირება მოეხდინა და კონფლიქტების მასობრივი მსხვერპლი თავიდან აეცილა. გაეროს და ეუთო-ს საერთაშორისო სტრუქტურებმა, რომლებმაც უფრო მეტი ლეგიტიმურობა და სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების ფართო მანდატი ჰქონდათ, ვერ მოახერხეს რუანდაში, სომალიში და აფრიკის სხვა ნაწილებსა და ყოფილ იუგოსლავიაში გადამწყვეტი ქმედებები განეხორციელებინათ.

---

[56] Jackson Robert J., NATO and Peacekeeping, Final Report for NATO Fellowship, Due 30 June 1997 https://www.nato.int/acad/fellow/95-97/jackson.pdf

[57] Hugh Miall, The Peacemakers, London: Macmillan, 1992

ასეთ სიტუაციაში, ნატო–მ, როგორც სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნდა შეიარაღებული ძალები, კარგად დამკვიდრებული კონტროლის სისტემა, კომუნიკაციური სტრუქტურები, დაზვერვა, სტრატეგიული დაგეგმარება და კრიზისულ სიტუაციებში მუშაობის უნარი, ვერ დარჩებოდა თამაშგარე. ევროპის პოსტ-კონფრონტაციულ პერიოდში შესვლისთანავე ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების, მისი კურსის, პირველ რიგში ახალ პირობებთან დასავლეთევროპული პოლიტიკის ადაპტაციის გადახედვის აუცილებლობის წინაშე დადგა. ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში არსებული მდგომარეობის ფონზე, ნატო–მ განიცადა ღრმა ტრანსფორმაცია, და შინაარსობრივად, ახალი ორგანიზაცია გახდა.[58]

ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ასევე იმ ფაქტმა, რომ ნატო-ს ქვეყნების ექსპერტები მონაწილეობდნენ გაეროს მიერ გატარებული კონცეფციების, მეთოდების და ოპერაციების განვითარებაში. როგორც ჯექსონი წერს, გაეროში ტერმინების "მშვიდობის შენარჩუნება", "მშვიდობისყოფა", "მშვიდობის იძულება“ შინაარსის თაობაზე გაურკვევლობა იყო და ნატო-მ აჩვენა, რომ კონცეფციებისა და იდეების შემუშავებისას აუცილებელია ისინი დაუკავშირონ კონკრეტულ ქმედებას ადგილებზე. ჯეიმს ტერი (James P. Terry) აღნიშნავს, რომ ნატოს ადაპტაცია საიმედო ევროპული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაიწყო 1990 წელს, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ.[59]

ამრიგად, ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის სახით პირველადი მტრების გაქრობამ და მეორე მხრივ, კონფლიქტების ინტენსიფიკაციამ და იმჟამინდელი საერთაშორისო სისტემის უუნარობამ ადეკვატური რეაგირება მოეხდინა გამოწვევებზე და ხელი შეეშალა ხალხის მასობრივ განადგურებას, ხელი

[58] Jackson Robert J., NATO and Peacekeeping, Final Report for NATO Fellowship, Due 30 June 1997 https://www.nato.int/acad/fellow/95-97/jackson.pdf

[59] Terry James P., The Emerging Role of NATO in UN Peace Enforcement Operations, International Law Studies, Volume 72 pp 291-308

შეუწყვეს იმ ფაქტს, რომ ნატოს ნატო–ს სტრატეგიაში გამოჩენილიყო კრიზისებზე რეაგირების და მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ახალი მიმართულება. ეს განზრახვა დადასტურდა 1991 წლის ივნისში კოპენჰაგენში მიღებულ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დეკლარაციით, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატო-ს მიზანია "ხელი შეუწყოს ერთიანი და თავისუფალი ევროპის შექმნას". 1991 წლის ნოემბერში ნატოს რომის სამიტზე ალიანსმა შეიმუშავა ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებდა კოლექტიური თავდაცვის მნიშვნელობას, და ამავე დროს ნატო-ს მიუთითებდა ახალი უსაფრთხოების გამოწვევებისკენ, როგორიცაა რეგიონალური მისიები, კრიზისების დარეგულირება და სამშვიდობო ოპერაციები.[60]

აღნიშნულმა პოლიტიკამ ასახვა პოვა რამდენიმე განზომილებაში. 1994 წელს შეიქმნა პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP). 1999 წელს მოხდა ნატო-ს კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობების გაფართოების აუცილებლობის აღიარება (ე.წ. კრიზისზე რეაგირების ოპერაციები, რომლებიც არ უკავშირდება მე -5 მუხლს (non-Article 5 crisis response operations (NA5CRO)), (ეს ინსტრუმენტი განიხილება 2.3 თავში). 2007 წელს მოხდა ნატო-ს სამეცნიერო პროგრამის ტრანსფორმაცია და იგი გადაკეთდა „მეცნიერება მშვიდობის და უსაფრთხოებისთვის“ პროგრამად. მშვიდობისადმი ერთგულების კიდევ ერთ განზომილებას ნატო–ს მხრიდან წარმოადგენდა გაერო-ს რეზოლუციების – გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციები (UNSCRs) ქალთა, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხთა შესახებ (WPS), შესრულების ვალდებულების აღება. განვიხილოთ ეს ინიციატივები უფრო დეტალურად.

მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით ნატო-ს ამოცანების გაფართოებასთან ერთად, ასევე, წარმოიშვა იდეა იმის შსახებ, რომ

[60] Ibidem

ალიანსს უნდა მიეცეს ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტების და სახელმწიფოების პრაქტიკული მხარდაჭერა, რათა თავიდან იქნას აცილებული ავტორიტარული პრაქტიკისადმი დაბრუნება, რომელიც ყალიბდებოდა რამდენიმე თაობის მანძილზე. შედეგად, 1990 წელს მიღებული იქნა "ლონდონის დეკლარაცია", რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც მანამდე წარმოადგენდნენ "მტრის ბანაკს", შესთავაზეს ალიანსთან მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა.

1991 წელს ნატომ შექმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (North Atlantic Co-operation Council – NACC), რათა ურთიერთობები დაემყარებინა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილ წევრ სახელმწიფოებთან, ასევე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ ახალ სახელმწიფოებთან. NACC დიდ ყურადღებას უთმობდა მრავალმხრივ კონსულტაციებსა და თანამშრომლობაზე. ფრენკ ბოლანდმა (Frank Boland), პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის განვითარების პარადიგმის ანალიზის დროს აღნიშნა, რომ "მიუხედავად იმისა, რომ NACC-ს შეეძლო გაემყარებინა ნდობა მრავალმხრივი პოლიტიკური კონსულტაციებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით 1990-იანი წლების დასაწყისში, ნათელი გახდა, რომ ევროპის ბევრ ახალ დემოკრატიულ ქვეყანას სურს ევროპულ ინსტიტუტებში, როგორიცაა ნატო, რომელიც ცივი ომის დროს მათთვის დახურული იყო, სრული ინტეგრაცია".[61]

**პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“.** 1994 წლის იანვარში ნატოს ბრიუსელის სამიტმა ალიანსის ისტორიაში ახალი ეტაპი გახსნა, როდესაც მონაწილეებმა შეცვალეს მისი სამხედრო-პოლიტიკური როლი და ორგანიზაციის ადგილი ცვალებად სამყაროში. აღნიშნულ სამიტზე ალიანსის ლიდერებმა განაცხადეს: "ჩვენ გადავწყვიტეთ დავიწყოთ დაუყოვნებლივი და პრაქტიკული

[61] Boland Frank Effective, Partnership for Peace Legitimate, Secure: Insights for Defense Institution Building, https://cco.ndu.edu/News/Article/1375910/11-nato-and-the-partnership-for-peace/

პროგრამა, რომელიც შეცვლის ნატოსა და მონაწილე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს".[62]

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) მიზნად ისახავდა ევროპის ახალ დემოკრატიულ ქვეყნებთან ინტენსიურ პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას, ასევე იმ ქვეყნებთან, რომლებიც ცივი ომის დროს თავს ნეიტრალურად თვლიდნენ. არსებითად, PfP პროგრამა უნდა გამხდარიყო ნატო-სთან ასოცირების განუყოფელი კომპონენტი ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელსაც სურს გახდეს წევრი, მაგრამ ეს მექანიზმი ასევე უზრუნველყოფდა ჩარჩოებს, რატა სხვა ქვეყნებს შეეძლოთ ნატო-სთან ურთიერთობების განვითარება იმ დონეზე და იმ სისწრაფით, რომლითაც მათ სურდათ. ეს პროგრამა განიხილებოდა, როგორც ნატოში ინტეგრაციისკენ მიმავალი კანდიდატი ქვეყნებისთვის მოსამზადებელი ეტაპი. პროგრამა ხასიათდებოდა (და ახლაც რჩება) ღიაობითა და გამჭვირვალობით, ნატო-ს წევრ ქვეყნებსა და მათ პარტნიორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

პარტნიორობა PfP- ის ფარგლებში ყალიბდება ცალკეულ ქვეყანასა და ნატო-ს შორის ინდივიდუალურ საფუძველზე, ამ ქვეყნის კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად, ამასთანავე, თითოეული მონაწილე ქვეყანა ირჩევს, თუ რა დონეზე და რა ტემპებით მოხდება ამ თანამშრომლობის განხორციელება ნატო-სთან ერთად.

პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია „"თვითგამორკვევის" პროცესის გამოყენება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო PFP პროგრამის ფარგლებში ირჩევს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მხარს დაუჭერენ მათი ეროვნული პოლიტიკის მიმართულებებს და შეესაბამებიან მათ კონკრეტულ მოთხოვნებსა და ფინანსურ შესაძლებლობებს."

[62] İnan Yüksel, Yusuf İslam, Partnership for Peace, Journal of International Affairs, June - August 1999 Volume IV - Number 2

პროგრამა სცდება დიალოგსა და რეალური პარტნიორობის ჩამოყალიბების მიზნით თანამშრომლობას, ინიცირებს ნატო-ს გაფართოებას „როდესაც სხვა ქვეყნები შეძლებენ შეასრულონ ამ ორგანიზაციაში წევრობისთვის აუცილებელი თავიანთი ვალდებულებები.“

PfP- ს აქვს რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა: პარტნიორის მიერ საერთო ჩარჩო დოკუმენტზე ხელმოწერა (რომლის პირველი ორი ამოცანა იყო თავდაცვის დაგეგმვის და ბიუჯეტისა და შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის გამჭვირვალობა); საპრეზენტაციო დოკუმენტის წარდგენა (ნატო-სთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების მითითებით, რომელშიც პარტნიორი ქვეყანა დაინტერესებულია); და ნატოსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის განვითარება, კონკრეტული ღონისძიებების დეტალური აღწერით, რომელშიც პარტნიორს სურს მონაწილეობა.

პროგრამაში მონაწილეობა განპირობებულია ისეთი მოთხოვნების სავალდებულო შესრულებით, როგორიცაა სამხედრო ბიუჯეტების შექმნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, თავდაცვის სამინისტროების საქმიანობის სამოქალაქო (დემოკრატიული) კონტროლის განხორციელება, სამხედრო წვრთნების ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარება, ნატო-ს ძალებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობების შექმნა სამშვიდობო და საძიებო–სამაშველო ოპერაციების განხორციელების ინტერესებში, ჰუმანიტარული აქციების განხორციელება.

PfP-ის ფარგლებში პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარდება ხორციელდება ასევე სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში, შტაბებისა და ჯარების ერთობლივი საბრძოლო სწავლების საქმიანობის ორგანიზებითა და ჩატარებით, ასევე ღონისძიებების განსახორციელებლად ნორმატიულ–სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავებით.

პროგრამის წარმატებაზე მოწმობს შემდეგი მონაცემები: მისი არსებობის მანძილზე 34 ქვეყანა შეუერთდა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამას: ავსტრია, ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, უნგრეთი, ბულგარეთი, საქართველო, ირლანდია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვეთი, პოლონეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვეიცარია, შვედეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ფინეთი, ხორვატია, ჩეხეთი და ესტონეთი. აღნიშნული პარტნიორი სახელმწიფოებიდან 13 შემდგომში გახდა ნატო–ს წევრი.

**კიდევ ერთი პროგრამა, მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის,** არის მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში ნატოს პოზიციის გაძლიერების კიდევ ერთი საშუალება.

ჯერ კიდევ ცივი ომის დროს ნატო  მეცნიერებას განიხილავდა, როგორც მისი პოტენციალის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. ნატო-ს სამეცნიერო კომიტეტმა (Science Committee) 1958 წელს დაიწყო მუშაობა და მისი მთავარი ამოცანა იყო ალიანსის ქვეყნების მეცნიერთა შორის თანამშრომლობის დამყარება. 1999 წლიდან ნატო-ს სამეცნიერო პროგრამა თითქმის მთლიანად რეორგანიზებული იქნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების მეცნიერებს შორის თანამშრომლობის მხარდასაჭერად. მშვიდობის და უსაფრთხოების სფეროში ალიანსის მიზნების გაფართოების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროგრამას შეეცვალა სახელი და დაერქვა "უსაფრთხოება მეცნიერების საშუალებით" (NATO Programme for Security through Science), რომელიც "ითვალისწინებდა მიზნობრივი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას, პირველ რიგში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში". 2006 წელს ნატო-ს სამეცნიერო კომიტეტი გარდაიქმნა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ კომიტეტად, ხოლო პროგრამას „უსაფრთხოება მეცნიერების საშუალებით“ გადაერქვა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“

პროგრამად (Science for Peace and Security Programme). ამჟამად, პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ მიმართულია პარტნიორ ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის განმტკიცებისკენ, რათა ხელი შეუწყოს ალიანსის, პირველ რიგში, ბლოკის მიერ განხორციელებული ოპერაციების მიზნების მიღწევას. ასევე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი ამოცანები, როგორიცაა ნდობის აღდგენის ღონისძიებების გაძლიერება, კანდიდატი ქვეყნების ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მომზადებას, ნატო-ს წევრი ქვეყნების და პარტნიორი ქვეყნების მეცნიერებისა და სპეციალისტების ჩართვა ბლოკის სამეცნიერო–კვლევითი პროექტების განხორციელებაში გრანტების გამოყოფისა და გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გაზიარების გზით.

ამჟამად, „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ პროგრამის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის გაფართოების მიზნით გათვალისწინებულია გრანტების გაცემა მრავალწლიან კვლევით პროექტებზე, კვლევითი სემინარებსა და ტრეინინგის კურსებზე.

2010 წელს ლისაბონში მიღებული სტრატეგიული კონცეფციის და 2011 წლის აპრილში ბერლინში შეთანხმებული ნატო-ს პარტნიორობის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, პროგრამის პრიორიტეტები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს[63]:

- საერთო ინტერესის საკითხებზე ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის წარმოშობილ უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო ძალისხმევა (კონტრტერორიზმი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, კიბერ თავდაცვა, ბიოლოგიური, ქიმიური, რადიაციული და ბირთვული აგენტებისგან დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება);
- ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებისა და მისიების მხარდაჭერა;

[63] Science for Peace and Security, https://www.nato.int/cps/en/natolive/78209.htm

- უსაფრთხოების სფეროს მოვლენების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის ადრეული გაფრთხილების მეშვეობით, კრიზისის თავიდან ასაცილებლად (უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოწინავე ტექნოლოგიები, საზღვრებისა და პორტების უსაფრთხოება, ნაღმებისა და არ აფეთქებული საბრძოლო მასალის აღმოჩენა და განუვნებელყოფა, ნატო–ს სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ადამიანური და სოციალური ასპექტები;
- უსაფრთხოების საკითხებთან მკაფიოდ დაკავშირებული ნებისმიერი სხვა პროექტები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე პრიორიტეტებში, ასევე შეიძლება განიხილებოდეს «მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებლად.

2018 წელს, პროგრამის 60 წლის იუბილე აღინიშნა. პროგრამის არსებობის ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩატარდა 800-ზე მეტი ერთობლივი კვლევითი პროექტი, რომელშიც 29 ნატო-ს წევრი ქვეყანა და 41 პარტნიორი ქვეყანა მონაწილეობდა. ბრიგადის გენერალმა რიშარდ პარფიანოვიჩმა (Ryszard Parafianowicz) აღნიშნა, რომ ნატოს პროგრამა მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის (...) უნდა გახდეს პლატფორმა სხვადასხვა ექსპერტთა და სამეცნიერო წრეების შორის დიალოგისთვის და მოუტანს ხელშესახებ სარგებელს საინტერესო და ინოვაციური პროდუქტების სახით, რომელთაც შეიძლება დააინტერესოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ... უნივერსიტეტები წარმოადგენენ ბუნებრივ გარემოს როგორც მეცნიერებისთვის, ისე ოფიცრებისთვის, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ უსაფრთხოების საკითხებზე სხვადასხვა ასპექტში".[64]

**ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.** 2007 წლიდან ნატო–მ დაიწყო გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება მისი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტში და ეს დაკავშირებულია იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ორგანიზაციამ საკუთარ

[64] GAP In NATO Science For Peace And Security Information Day, https://gap-project.eu/2018/12/12/gap-in-nato-science-for-peace-and-security-information-day/

თავზე აიღო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით (1325, 1820, 1888, 1889, 1960, 2106, 2122 и 2422), რომელთა მთავარი არსი მდგომარეობს კონფლიქტების არაპროპორციული ზემოქმედების აღიარება ქალებსა და გოგონებზე. აღნიშნული რეზოლუციები ასევე ითხოვს ქალთა ჩართვას კონფლიქტების პრევენციის, პოსტკონფლიქტურ რეაბილიტაციის პროცესის ყველა დონეზე.[65]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 (UNSC) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაითვალისწინონ ქალთა ინტერესები და გენდერული ასპექტები უსაფრთხოების სფეროში მრავალმხრივ ინიციატივებში, როგორიცაა მშვიდობიანი დასახლებები, სამშვიდობო მისიები, განიარაღების პროგრამები, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები. ნატო–მ აიღო აღნიშნული მიზნები საკუთარ თავზე, 1325 რეზოლუციისა და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე შემდგომი რეზოლუციების შესრულების პოლიტიკური და ოპერატიული საფუძვლის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრუქტურებში სხვადასხვა დონეზე დანერგვით.

2013 წელს, ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატო-ს სპეციალური წარმომადგენლის პოსტი დაინერგა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ განახორციელა ინიციატივები ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განსახორციელებლად. ბევრმა მათგანმა მიიღო 1325 რეზოლუციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

ამრიგად, ამ კომპონენტის ჩართვა ნატო-ს საქმიანობაში კიდევ უფრო აღრმავებს ორგანიზაციის წვლილს მშვიდობისა მშენებლობისა და განმტკიცების პროცესში.

[65] Women, Peace and Security, 05 Jul. 2018, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_91091.htm?selectedLocale=en

## 2.2 ნატოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიები

როგორც უკვე აღწერილია წინა თავებში, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ნატო ექსკლუზიურად თავდაცვითი ალიანსი იყო, მაგრამ ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობაში აქტიური როლის თამაში დაიწყო.

ნატო-ს სამხედრო ინტეგრაციისა და თანამშრომლობის მრავალწლიანი წარმატებული დაგეგმვისა და ორმხრივი დაცვის მოვალეობის შესრულების მომზადების ისტორიამ შეუქმნა ორგანიზაციას მშვიდობის იძულების (peace enforcement) მოღვაწეობაში ეფექტიანი მონაწილეობის წინაპირობა.[66]

მშვიდობის იძულების ოპერაციების ეფექტიანობა ნაკარნახევია ფრთხილი დაგეგმარების, გამოცდილი ხელმძღვანელობისა და ინტეგრირებული მართვისა და კონტროლის მექანიზმების აუცილებლობით. ეს გამოცდილება ნატო–მ 1991–1992 წლებში განხორციელებულ რამდენიმე სამხედრო ოპერაციის დროს შეიძინა. 1999 წლის სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ვაშინგტონში ნატოს მორიგ სამიტზე დაამტკიცა, განსაზღვრა ალიანსის შესაძლებლობები ორი ტიპის ოპერაციებში:

- კოლექტიური თავდაცვის ოპერაციები Collective Defence Operations (CDO) მე–5 მუხლის თანახმად;
- კრიზისებზე რეაგირების ოპერაციები (Crisis Response Operations - CRO), არ უკავშირდება მე–5 მუხლს (NA5CRO).[67,68]

NA5CRO–ს ფარგლებში განხორციელებული მოქმედებები უფრო მოქნილია ახალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის კონფლიქტების პრევენციის ეფექტიანი ხელშეწყობა და კრიზისის მართვის პროცესში აქტიური მონაწილეობა.

---

[66] Terry James P., The Emerging Role of NATO in UN Peace Enforcement Operations, International Law Studies, Volume 72 pp 291-308. P306

[67] NATO Strategic Concept (1999), http://www.internationaldemocracywatch.org/attachments/344_Nato%20Strategic%20Concept%20(1999).pdf

[68] AJP-3.4.1 - Peace Support Operations, NATO unclassified, 2011

ლიეტუველი მკვლევარი მინდაუგას სტაცკევიჩუსი (Mindaugas Stackevicus) აღნიშნავს, რომ ამ ოპერაციების მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა. "NA5CRO შექმნილია ასეთ კრიზისებზე დროული და კოორდინირებული რეაგირებისთვის, მათ შორის სამხედრო მოქმედებების შეკავება, როდესაც აღნიშნულ კრიზისებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ნატო-ს ქვეყნების უსაფრთხოებაზე, ან საფრთხეს უქმნიან სტაბილურობას და იწვევენ კონფლიქტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პერიფერიებზე".[69] ნატო განსაზღვრავს NA5CRO–ს როგორც მრავალფუნქციურ ოპერაციებს, რომლებიც მოითხოვენ პოლიტიკურ, სამხედრო და სამოქალაქო ქმედებებს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. სტაცკევიჩუსი ასევე აღნიშნავს, რომ მე -5 მუხლისა და NA5CRO ოპერაციების ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ნატო-ს ქვეყნებს არ გააჩნიათ ფორმალური ვალდებულება, მონაწილეობა მიიღონ NA5CRO- ში, ხოლო მე -5 მუხლის შესაბამისი ოპერაციების შემთხვევაში, ნატო-ს წევრი ქვეყნები ფორმალურად ჩართულნი არიან იმ ქმედებებში, რომლებსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში.

NA5CRO- ის ნაწილის წარმოადგენს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციები (PSO). AJP-3.4.1 ანგარიშის მიხედვით მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციები (PSO) განუწყვეტლივ ვითარდება კრიზისებზე რეაგირების ოპერაციების კონტექსტში (CRO). ასეთი ოპერაციები მიზნად ისახავს კომპლექსური საგანგებო სიტუაციებისა და სერიოზული პრობლემების გადაჭრას, როგორიც წარმოიშვება, მაგალითად, სახელმწიფოების დაშლის შედეგად ან "გაურკვეველ გარემოში". მათი განხორციელების მთავარი პრინციპი მიუკერძოებლობაა.[70]

[69] Stackevičius Mindaugas, NATO Non Article 5 Crisis Response Operations and Peace Support Operation concept, Introduction to Peace Support Operations, Wroclaw, 2013

[70] AJP-3.4.1 - Peace Support Operations, NATO unclassified, 2011

დღევანდელი მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაცია წარმოადგენს ყოვლისმომცველ ტერმინს, რომელიც მოიცავს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ მშვიდობის იძულებას და მშვიდობის მხარდაჭერას, ასევე კონფლიქტების პრევენციას, მშვიდობისყოფას, სამშვიდობო და ჰუმანიტარულ დახმარებას. გარდა ამისა, სამშვიდობო ოპერაცია მოიცავს ფართო სპექტრის ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო არენაზე ძალადობის გამოვლინებების პრევენციას, შემცირების ან აღმოფხვრას. იგი მოიცავს სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო, სამხედრო-სამოქალაქო ან უბრალოდ სუფთა სამხედრო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტის მოგვარების ფართო ფრონტზე ძალადობის სხვადასხვა გარემოში მშვიდობის უზრუნველყოფას.

როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ სამშვიდობო ოპერაციებში და, შესაბამისად, მათში წარმოდგენილია სხვადასხვა ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები. PSO-ში მულტინაციონალიზმი მიიჩნევა აუცილებელ ფაქტორად. სამხედრო თვალსაზრისით, ერთობლივი ოპერაციები პარტნიორებს რესურსების გაერთიანების საშუალებას აძლევს. პოლიტიკური თვალსაზრისით ფართო წარმომადგენლობა ზრდის ოპერაციების ლეგიტიმურობას. მონაწილეთა მრავალფეროვნება ასევე ხელს უწყობს პროფესიულ გაცვლას.[71]

ნატო-ს გარდაქმნის ეფექტიანობა სამხედრო და პოლიტიკური კრიზისების მართვის საიმედო ინსტრუმენტად შეიძლება წარმოდგენილ იქნას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პირველი დიდი ოპერაციების მაგალითზე. პირველად ნატო-ს სამხედრო ძალებმა (IFOR) სრული პასუხისმგებლობა აიღეს მშვიდობის მხარდასაჭერად. როგორც ნატოს ექსპერტი ესპენ ბარტი (Espen Barth) აღნიშნავს, ადაპტაციისა და სწავლების პროცესი აშკარად ვლინდება იმაში, თუ როგორ ვითარდებოდა ბოსნიაში სამშვიდობო საქმიანობა IFOR- ისა და სტაბილიზაციის

[71] Bilski Artur, NATO Peace Support Operations: Nordic – Polish Brigade in Bosnia – Herzegovina Beginning of the Mission, http://www.nobilismedia.pl/pluginAppObj_1843/bosnia_demo.pdf

ძალების ეგიდით (SFOR) და როგორ იქნა იგი გამოყენებული კოსოვოსთვის შემუშავებულ მიდგომაში.[72] კოსოვოში (KFOR) სამშვიდობო ძალები 1999 წლის ივნისში განლაგდნენ. აქ, აშკარად გამოვლინდა ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია. პირველ რიგში, ეს არის სამხედრო მანდატის შესახებ წარმოდგენის გაფართოება. გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ სამხედრო წარმატების მისაღწევად აუცილებელია სამოქალაქო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა. ბარტის თქმით, "თუ ზოგადი სამშვიდობო ძალისხმევა სტაბილური და გრძელვადიანი მშვიდობის პირობებს არ იძლევა, ეს არა მხოლოდ სამოქალაქო ინსტიტუტების, არამედ ნატო-ს მარცხი იქნება".[73] კოსოვოში (KFOR) ნატო-ს ახალი მისიის განლაგების მომენტისთვის, ეს ნიუანსები უკვე ასახული იყო სამხედრო ძალებისთვის წინასწარ გათვალისწინებულ მანდატში, და შედეგად ასახვა პოვეს კოსოვოში KFOR-ისა და გაერო-ს დროებითი ადმინისტრაციის მისიას შორის კარგ და მოქნილ ურთიერთობებში. იმისათვის, რომ სამშვიდობო მისია წარმატებით ჩატარდეს, მხოლოდ სამხედრო ზომების მიღება არ არის საკმარისი, რომელიც აუცილებელია ძალადობრივი კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. სამხედრო მოქმედებებს მხარს უნდა უჭერდეს, ისინი უნდა ამატებდნენ და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სამოქალაქო ინსტრუმენტებთან. ეს არ იქნებოდა ასე აშკარა ათი ან თუნდაც ხუთი წლის წინ, როდესაც ის ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ სამხედრო და ჰუმანიტარულ აზროვნებას.

ბარტი მიუთითებს PSO- ის განხორციელების ფორმატის ტრანსფორმაციის კიდევ ერთ შედეგზე - ნატოს სამშვიდობო ოპერაციების ეტაპობრივი ევროპეიზაცია. თუ თავდაპირველ ეტაპებზე მისიებში, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტებულნი იყვნენ ევროპული შემადგენლობით, მაინც მოიცავდნენ მესამე ქვეყნების ჯარისკაცების მნიშვნელოვან რაოდენობას. თანდათანობით, ეს

[72] Barth Espen, Peacekeeping past and present, https://www.nato.int/docu/review/2001/Peacekeeping-Challenge/Peacekeeping-past-present/EN/index.htm
[73] Ibidem

ტენდენცია შეიცვალა. ეს შეიძლება ნათლად წარმოვაჩინოთ IFOR-ის მაგალითზე: მისიის ერთი მესამედი შეადგენდა აშშ-ს სამხედრო ძალები, KFOR-ის შემადგენლობა თავდაპირველად ევროპული იყო (თუ არ ჩავთვლით კოსოვოს საჰაერო კამპანიას, რომელშიც დომინირებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში). ევროპისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების თანაფარდობა სამშვიდობო ოპერაციის სრული განლაგების შემდეგ შეადგენდა 34 ათასიდან 8 ათას ადამიანამდე.[74] გარდა ამისა, KFOR–ის სარდლობა სრულიად ევროპული იყო.

11 სექტემბრის შემდეგ PSO აქცენტი ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში გადავიდა. ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები (ISAF), რომელთა რიცხვი ოპერაციის შუაგულში მოიცავდა 130 ათასზე მეტ ჯარისკაცს, იყო ალიანსის მიერ ოდესმე განხორციელებული ყველაზე დიდი ოპერაცია.[75]

ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშში „სამშვიდობო ოპერაციები ცვალებადი სამყაროში/ქლინგენდაელის სტრატეგიული მონიტორინგის პროექტი, პუბლიკაცია: ივნისი, 2014 (Peacekeeping operations in a changing world/Clingendael Strategic Monitor Project, Publication: June 2014), სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების საკითხებში ნატო-ს ძლიერ მხარეებს შორის ვლინდება შემდეგი ასპექტები. პირველ რიგში, ეს არის პოლიტიკური ეფექტიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ნატო უპირატესობას ანიჭებს გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის საფუძველზე მოქმედებას უფრო ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ალიანსი საგანგებო სიტუაციებში ჩაერევა ასევე ამგვარი მანდატის არსებობის გარეშეც (ჰუმანიტარული კრიზისი, ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევა (როგორც ეს 1998 წლის კოსოვოს საჰაერო კამპანიის შემთხვევაში მოხდა)).

[74] Ibidem

[75] Dinnisse Rosa (ed.) Peacekeeping operations in a changing world, Clingendael Strategic Monitor Project, June 2014

ნატო-ს ერთ-ერთი ძლიერ მხარეს წარმოადგენს ასევე ორგანიზაციული ეფექტიანობა. ჩრდილოატლანტიკური საბჭო (NAC) არის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და შეიძლება შეიკრიბოს ნებისმიერ დროს. გარდა ამისა, როგორც მთავრობათაშორისი სამხედრო ალიანსი, ნატოს გააჩნია მკაფიო სამეთაურო ჯაჭვი. ეს არის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს მუდმივი შტაბი ინდივიდუალური ან კომბინირებული ოპერაციებისათვის.

ნატო მოქნილია მის საქმიანობაში მესამე ქვეყნების მონაწილეობის თვალსაზრისით და შეუძლია დაეყრდნოს ამ თვალსაზრისით მიღებულ გამოცდილებას. თუმცა, ამავე დროს, აღინიშნა, რომ ზოგჯერ "სამხედრო აზროვნება" დომინირებს ოპერაციების დაგეგმვასა და ჩატარებაში.

## 2.4 ნატოს როლი საერთაშორისო პოლიტიკაში

დროთა განმავლობაში ნატო-ს პოტენციალი თანდათანობით გაძლიერდა. მედიასაშუალებების თანახმად, ნატო-ს 29 ქვეყანის სიძლიერე იზრდება "დღესდღეობით მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 50% -ზე მეტს აწარმოებენ, 3 მილიონზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავთ, მართავენ დიდი ზომის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებს და ერთად თავდაცვაზე 1 ტრილიონ დოლარზე მეტს ხარჯავენ".76 ორგანიზაცია დღეს წარმოდგენილია ასობით ოფისისა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურით. მხოლოდ ნატო-ს შტაბ-ბინაში 4 000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, რომლებიც წარმოადგენენ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებს.

მეცნიერების მოზიდვა და ინოვაციური მოდელების შემდგომი დანერგვა წარმოებაში ხელს უწყობს ის ფაქტს, რომ ნატო დღეს ტექნოლოგიების სფეროებში ერთ-ერთი ლიდერია, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, უპილოტო სატრანსპორტო

[76] Stavridis James, ( Admiral Ret.), Why NATO Is Essential For World Peace, According to Its Former Commander, April, 2019, https://time.com/5564171/why-nato-is-essential-world-peace/

საშუალებები, კოსმოსური ოპერაციები, სპეციალური დანიშნულების ტექნოლოგიები, საზღვაო და წყალქვეშა ნავები, და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა.[77]

მრავალეროვნული მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ნატო-ს გეოგრაფიული პოტენციალის ფარგლებში მონაწილეობს წვრთნების მომზადებასა და ჩატარებაში, აკონტროლებს მოკავშირე ერთეულების მზადყოფნას, კონსულტაციების უწევს და სამხედრო წვრთნებს უტარებს სამხედროებს პარტნიორი ქვეყნებიდან.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობენ იმ ფაქტს, რომ ნატო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო პოლიტიკაში. ამავდროულად, ორგანიზაციას აქვს ნათელი გაგება, რომ მას არ შეუძლია იმოქმედოს იზოლაციაში, როდესაც საქმე ეხება მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით ნატოს გენერალ სტავრიდისს ჩერჩილის შემდეგი ფრაზა მოყავს: „მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარესო მხოლოდ ერთი რამ არის, და ეს მათ გარეშე ბრძოლაა“. დიდი გამოცდილების და ნატოში მაღალი თანამდებობის მქონე სამხედროს, სტავრიდისის თქმით, მსოფლიო არენაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, როგორც აშშ-ს, ასევე ნატო-სთვის არის მოკავშირეების, პარტნიორებისა და მეგობრების ქსელი. მისი თქმით, *„ძლიერი ნატო ნიშნავს არა მხოლოდ მოკავშირეების ბრძოლაში მონაწილეობას, თუ ასეთი რამ მოხდება, არამედ ძლიერი საშუალება ამბიციური ოპონენტების აგრესიის შესაკავებლად*“.[78]

როგორც წინა თავებშია წარმოდგენილი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოქმედებს რამოდენიმე დონეზე. მსოფლიო დონის საკვანძო საერთაშორისო მოთამაშეებთან ურთიერთობის განვითარების მიზნით (როგორც წესი, ეს არის

[77] Ibidem
[78] Ibidem

საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპის გარეთ არსებული ქვეყნები), ნატო იყენებს სხვადასხვა სახის მექანიზმს. წინამდებარე თავში განვიხილავთ, თუ როგორ იქმნება ნატო-ს არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობები და / ან მშვიდობის პროგრამა.

სამხრეთის ფლანგზე ნატო–მ ორი მექანიზმი – ხმელთაშუაზღვის დიალოგი და სტამბულის თანამშრომლობის ინიციატივა წარმოადგინა. ოფიციალურად, ეს ფორმატი, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცებას ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და ნატოს საფრთხეების აღმოფხვრას, დაიწყო 1994 წელს, მაგრამ რეალური თანამშრომლობა 2001 წლის სექტემბრიდან დაიწყო. ხმელთაშუაზღვის დიალოგის ფარგლებში, რომელიც ნატო-ს საკონსულტაციო ორგანოა, ის ატარებს დიალოგს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. საკმაოდ ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, ექსპერტები აღნიშნულ ფორმატში ორ პრობლემურ ფაქტორს ხედავენ. სახელმწიფოთა ჯგუფის ჰეტეროგენულობა, რომელთაც ნატოსთან მიმართებით განსხვავებული ინტერესები აქვთ (მაგალითად, ტუნისს აქვს თავდაცვის სექტორის რეფორმირების ინტერესი, ისრაელის აქცენტებს აკეტეთებს სარაკეტო თავდაცვის საკითხებზე თანამშრომლობაზე. ამ პრობლემის მოგვარების ერთ–ერთი გზა შეიძლება ყოფილიყო ხმელთაშუაზღვის დიალოგის გაყოფა ორ რეგიონულ ქვეჯგუფად (მაღრიბი(Maghreb) და მაშრიკი (Mashriq)). მეორე ფაქტორი ისაა, რომ 2008 წელს ევროკავშირმა შექმნა ევრო–ხმელთაშუაზღვის პარტნიორობა (EUROMED), რომელიც რეალურად კონკურენციას უწევს ნატო-ს ფორმატს.[79]

სტამბულის თანამშრომლობის ინიციატივა ხელს უწყობს ნატო–ს სპარსეთის ყურის ქვეყნებთან კონტაქტების დასამყარებლად (ამჟამად მოიცავს ბაჰრეინი,

[79] Kaim Markus, Reforming NATO's Partnerships, SWP Research Paper, Stiftung Wissenschaft und Politik/German Institute for International and Security Affairs, January 2017, Berlin

კატარი, ქუვეითი და არაბთა გაერთიანებული საემიროები), გეოგრაფიული რეგიონი, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობისაა და კვლავ ხასიათდება დაძაბულობის მაღალი დონით. ამ რეგიონში საერთაშორისო უსაფრთხოებისადმი გამოწვევებს - მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ტრანსნაციონალური ტერორიზმი - შეიძლება ჰქონდეს გავლენა ნატო-ს ქვეყნების უსაფრთხოებაზე და, შესაბამისად, ერთობლივად უნდა გვარდებოდნენ.

ნატო-ს ძალისხმევის მიუხედავად, ეს ფორმატი ჯერ კიდევ არ არის რეალური რეგიონალური უსაფრთხოების ფორუმი, რადგან ამ ფორმატში მონაწილე ქვეყნებს უფრო მეტი ინტერესი აქვთ ორმხრივ ფორმატში მუშაობის მიმართ, ასევე ის, რომ საუდის არაბეთი და ომანი არ მონაწილეობენ მასში. ეს ასევე გვიჩვენებს, რომ რეგიონი უპირატესობას ანიჭებს უფრო ორმხრივი უსაფრთხოების პოლიტიკას, ვიდრე კოლექტიური თავდაცვის ან კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციას. ეს გამოიხატება მრავალი ცალკეული უსაფრთხოების შეთანხმებებით, რომლებიც რეგიონის ქვეყნებმა გარე სუბიექტებთან გააფორმეს.

ამრიგად, ამ ორ ფორმატში არ არის ის პროგრესი და გაგება, რაც EAPC-ის და PfP-ის ფარგლებში. თუმცა, პარტნიორობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ქვეყნებთან თანამშრომლობას, ვიდრე მათ პოტენციურ გარდაქმნებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი ევროატლანტიკურ წესრიგში ჩართვაზე.

ამ ფორმატებში, საერთო ღირებულების ბაზა ან ნატო–ს შესაძლო წევრობა ცალკეული პარტნიორი ქვეყნებისთვის ფაქტობრივად არ ასრულებს რაიმე როლს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მრჩეველები დროდადრო აყენებენ ამ პერსპექტივებს. ამის შედეგად, მოლოდინი, რომ ნატო ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დემოკრატიზაციას თავდაცვის სექტორის რეფორმის მხარდაჭერით, რჩება შეუსრულებელი.

გლობალური პარტნიორობის ფარგლებში (Partners across the Globe (PATG), რომელიც რამდენიმე ქვეყანას მოიცავს, ნატო–ს ჰყავს რამდენიმე გლობალური

პარტნიორი, რომელთა შორის შეგვიძია გამოვყოთ ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა და იაპონია. ამ ქვეყნებისთვის, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ შეიქმნა და მიღებული იქნა „ინდივიუალური (ადაპტირებული) თანამშრომლობის პაკეტები“ («Tailored Cooperation Packages» (TCPs)).[80] ეს პაკეტები შესაძლებლობას მისცემს პარტნიორ ქვეყნებს დამოუკიდებლად აირჩიონ კონკრეტული სფეროები, რომლის ფარგლებშიც მათ სურთ ალიანსთან თანამშრომლობის გაფართოება.

გლობალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის მექანიზმები მოიცავს ღონისძიებათა არსენალს, რომელიც მოიცავს ერთობლივ წვრთნებს, დაზვერვის ინფორმაციების და ტექნოლოგიების გაცვლას, რომლებიც ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების საერთო ინტერესებში შედის.

ნატო-ს სამხედრო ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ამ ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან (თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები). მიუხედავად იმისა, ექსპერტების თქმით, ეს კომპონენტი შემოიფარგლება ავღანეთში ერთობლივი ოპერაციებით.

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც გლობალურ პარტნიორებად განიხილებიან, ავსტრალიის ურთიერთობები ნატო-სთან ყველაზე მოწინავეა. უფრო მეტიც, ნატო-ს ზოგიერთ ტექსტში, ავსტრალია განიხილება როგორც "ბუნებრივი პარტნიორი" ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, მისი კულტურული და პოლიტიკური დამოკიდებულების გამო.[81] ავსტრალიამ ნატო-სთან ერთად გაეროს ეგიდით გამართულ რიგ ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა, მისი ჯარები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ნატო-ს სტაბილიზაციის ძალების ნაწილს წარმოადგენდა (NATO led

[80] Relations with partners across the globe, Last updated: 19 May. 2017, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49188.htm

[81] Anders Fogh Rasmussen, Secretary General: 'NATO and Australia are ideal partners', June13 2012, https://www.atlanticcouncil.org/blogs/natosource/secretary-general-nato-and-australia-are-ideal-partners

Stabilization Force (SFOR)). ISAF-ის სხვადასხვა ასპექტში ავსტრალიის წვლილი მნიშვნელოვანია. მსგავსი სახით ვითარდებოდა ნატო-ახალი ზელანდიის ურთიერთობები.

ნატოსა და სამხრეთ კორეის და იაპონიის ურთიერთობებს გლობალური უსაფრთხოების საკითხების მოგვარების საერთო მიზანი გააჩნიათ. ამასთანავე, სამხრეთ კორეას და იაპონიას ასევე ფინანსური დახმარების წვლილი შეაქვთ და ხელს უწყობენ ნატო-ს ოპერაციების განვითარების მიზნით. მაგალითად, იაპონია ავღანეთისთვის ფინანსური დახმარების ერთ-ერთი უმსხვილესი დონორია. 2018 წელს გლობალური პარტნიორობის „კლუბს“ შეუერთდა კოლუმბია.[82]

აღნიშნული ქვეყნების გარდა, ნატო კონსულტაციებს მართავს ჩინეთთან, ინდოეთთან, სინგაპურთან, მალაიზიასთან და კოლუმბიასთან (ეს უკანასკნელი 2018 წელს გაწევრიანდა გლობალური პარტნიორობის „კლუბში“).[83] აქ დომინანტური მოტივი არის კონსულტაციების სასარგებლო ხასიათი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

სამხრეთ და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან კონტაქტების გამორჩეული თვისება ისაა, რომ ნატო აქ არ ცდილობს ჩამოაყალიბოს პარტნიორული ურთიერთობები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ალიანსმა რეგიონში არსებული მძიმე ურთიერთობების გააზრებით, შიშობს, რომ ამგვარი თანამშრომლობა შეიძლება არ იყოს სწორად ინტერპრეტირებული ერთი მხარის სასარგებლოდ.

ავსტრალიასთან, სამხრეთ კორეასთან, იაპონიასთან და ახალ ზელანდიასთან ურთიერთობების გაუმჯობესება შეიძლება განიხილოს, როგორც კოლექტიური

---

[83] Colombia to be NATO's first Latin American global partner, MAY 26, 2018, https://ca.reuters.com/article/topNews/idCAKCN1IR0E8-OCATP

თავდაცვის ორგანიზაციიდან გლობალური უსაფრთხოების ორგანიზაციაში ნატო-ს გარდაქმნის სურვილი.

# თავი III. ნატო და თანამედროვე გლობალური გამოწვევები XXI საუკუნეში

## 3.3. ნატოს წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეები და რისკები

უკანასკნელი წლების ისტორიისა და მოვლენების მიუხედავად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია აგრძელებს არსებობას, წარმატებით ახდენს შექმნილ პირობებთან ადაპტაციას და 2019 წელს 70 წლის იუბილე აღნიშნა. ნატო აქტიური და წამყვანი მონაწილეა საერთაშორისო არენაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების მშენებლობის საქმეში. ოფიციალური ინფორმაციით, ორგანიზაცია ხელს უწყობს დემოკრატიულ ფასეულობებს და მხარს უჭერს დავების და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. თუმცა, თუ დიპლომატიური ძალისხმევა წარუმატებელი გამოდგება, ალიანსს გააჩნია სამხედრო შესაძლებლობები, რათა ჩაატაროს კრიზისების მართვის ოპერაციები დამოუკიდებლად ან სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.[84]

აღსანიშნავია, რომ დღემდე, თითქმის ყოველი ათწლეულს აღნიშვნისას ნატო–ს წინააღმდეგ მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე არსებობდა. როდესაც ორგანიზაციამ 40 წლის იუბილე აღინიშნა, იგი მთლიანად იყო ფოკუსირებული

[84] Operations and missions: past and present, 25 Apr. 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm

საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულ ცვლილებებზე; მისი 50 წლის იუბილე დაემთხვა კოსოვოს საჰაერო კამპანიის პიკს; მისი 60 წლის იუბილე ავღანეთში ჯარების შემოყვანის შესახებ დისკუსიების პერიოდს უკავშირდება. 70 წლის იუბილეს ზღვარზე ნატო-ს წინაშე არსებობს, არა ერთი, არამედ რამდენიმე საფრთხე, სამ სტრატეგიულ, გეოგრაფიულად მიმოფანტულ და საფრთხის განსხვავებული ტიპის ფრონტებზე, რომლებზე რეაგირებაც მოითხოვს სხვადასხვა მიდგომებსა და ზომებს. ტერიტორიული მთლიანობის და მისი ყველა წევრის სუვერენიტეტის დაცვა ახალ კონტექსტში კიდევ ერთხელ გახდა რეფორმირებული ნატო-ს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. რუსეთთან ახლახან გამწვავებულ ურთიერთობებთან ერთად, ახლო აღმოსავლეთში მუდმივ არასტაბილურობასა და დასავლეთ ბალკანეთში ახალ გამოწვევებთან ერთად, ნატო კვლავ ახალი გამოწვევების წინაშე დგას და მისი გაფართოების პოლიტიკის შემდგომი ადაპტაციის გზაზე იმყოფება. მაშინ როდესაც ევროპა დგას დევნილების სერიოზული კრიზისის, უკრაინაში მიმდინარე კრიზისის წინაშე, რომელიც დაიწყო ყირიმში რუსეთის სამხედრო ინტერვენციით, რადიკალური ისლამისა და ტერორიზმის ზრდის, დასავლეთ ბალკანეთში მუდმივი არასტაბილურობის, მასობრივი განადგურების იარაღის და სარაკეტო ტექნოლოგიების დაჩქარებული ტემპებით გავრცელების, კიბერშეტევების მზარდი საფრთხის, კლიმატის ცვლილებების, ენერგომატარებლების მიწოდების შეფერხების რისკების, უმუშევრობისა და სიღარიბის მზარდი რაოდენობის, ყველა სახის საერთაშორისო დანაშაულებრივი საქმიანობის წინაშე და ა.შ.. ყველა აღნიშნული "დაბრკოლება" დღეს ემუქრება ევროატლანტიკურ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო წესრიგს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ნატო-ს სამხრეთ ფლანგზე არსებული საფრთხეები. მათი სიაც საკმაოდ ფართოა: ტრანსნაციონალური საფრთხეები, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანთა ტრეფიკინგი და იარაღის კონტრაბანდა, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და საჰელში

უმართავი ან ცუდად მართვადი ტერიტორიების გამოყენება ზოგადად მსოფლიოზე, და ნატო–ს მოკავშირეებსა და ნატო-ს წევრ ქვეყნებზე მუქარისთვის.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ჯენს სტოლტენბერგმა 2017 წლის თებერვალში ნატოს მინისტრთა შეხვედრაზე ნატო-ს „სტრატეგიული მიმართულება სამხრეთის“ (NSD-S) ინიციატივის ფარგლებში ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაციის შექმნის შესახებ გამოაცხადა. ოფიციალური გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით 2017 წლის სექტემბერში ჩამოყალიბებული NSD-S ცენტრი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფორუმს, რომელიც აერთიანებს მოკავშირეებს, პარტნიორებს და ექსპერტებს. ფორუმი ხელს უწყობს უკეთესი გაგების ჩამოყალიბებას და პრობლემების გადალახვას, ასევე ნატო-ს სამხრეთით (ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, საჰელი და საჰარის სამხრეთი ნაწილი) შესაძლებლობების ძიებას.[85] ეს ცენტრი (hub) აერთიანებს მოკავშირეებს, პარტნიორებს და არასამხედრო სუბიექტებს ქსელების შექმნისა და სამეცნიერო წრეებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კავშირების ჩამოყალიბებისთვის. ცენტრი მიზნად ისახავს სამხრეთში ნატო-ს ქმედებების კოორდინაციას, სინქრონიზებას და ნატოს ქმედებებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრას, რესურსების ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის მაქსიმალური ზრდის მეშვეობით.

ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანზე რუსეთი მეტად აგრესიული გახდა ყირიმის უკანონო ანექსიის, აღმოსავლეთ უკრაინაში დესტაბილიზაციის და ნატოს საზღვრებთან სამხედრო ძალის გაუმჯობესების მეშვეობით.

მაშინ, როდესაც ნატო ცდილობს განახორციელოს რუსეთის შეკავების მოქმედებები, ჩნდება კიდევ ერთი ძალისმიერი კომპონენტი ჩინეთის სახით, რომელიც წარმოადგენს ახალ, უფრო რთულ საფრთხეს. როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 2019 წლის 15 თებერვალს თავის

[85] NSD-S, NATO Strategic Direction South, https://thesouthernhub.org/

გამოსვლაში მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადა: „არსებობს პარტნიორობისა და პოლიტიკური დიალოგის რეალური პოტენციალი. ნატო და ჩინეთი უკვე თანამშრომლობდნენ სომალის სანაპიროზე მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი სამხედროები მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან. მაგრამ ჩინეთის ზრდა ასევე პრობლემას წარმოადგენს. ერთ–ერთ მაგალითს, რასაკვირველია, წარმოადგენს მრავალი მოკავშირის მიერ გამოხატული შეშფოთება კრიტიკული ინფრასტრუქტურის, როგორიცაა 5G განვითარებაში ჩადებული ჩინეთის მზარდი ინვესტიციები. ჩვენ უკეთესაც უნდა გვესმოდეს ჩინეთის და მისი გავლენის მასშტაბები".[86]

ჩინეთის ყოვლისშემძლე ლიდერის, სი ცზინპინის ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარე ბოლო რამდენიმე წლის მოვლენები აღნიშნულს მხოლოდ ადასტურებს. ამ ეტაპზე ჩინეთის მიერ გატარებული პოლიტიკა ნატო-სთვის მინიმუმ სამ დონეზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა: ინდოეთი–წყნარი ოკეანის რეგიონში სამხედრო პოზიციების გაფართოება და აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მისი დასწრების გაძლიერება; ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინტერვენცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპის ინდუსტრიულ და ტექნოლოგიურ ბაზას; და ვაშინგტონსა და პეკინს შორის მზარდი დაძაბულობა, ცენტრით ევროპაში.

ზემოაღნიშნული რისკებისა და საფრთხეების გარდა, საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოება, რომელიც შევიდა 2006 წლის რიგის სამიტზე ნატო-ს დღის წესრიგში და აღიარებულ იქნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების საკვანძო ელემენტად. ენერგოუსაფრთხოება სტრატეგიული პრობლემაა. როგორც 2014 წლის მარტში ბრიუსელის ფორუმზე აღნიშნა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა: "ჩვენ უნდა გადავაქციოთ ენერგეტიკული დივერსიფიკაცია

[86] Speech by NATO Secretary General Jens Stoltenberg at the Munich Security Conference, 15 Feb. 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_163791.htm

სტრატეგიულ ტრანსატლანტიკურ პრიორიტეტად და შევამციროთ ევროპული დამოკიდებულება რუსეთის ენერგომატარებლებზე."[87]

ენერგეტიკასა და ჰიბრიდულ ომს შორის არსებული კავშირის სამწუხარო მაგალითი გახდა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის არაკანონიერი ანექსია და უკრაინასთან ომის სტრატეგია, რამაც ნატო-ს ენერგეტიკული დღის წესრიგში ახალი განზომილება შემოიტანა. უკრაინის დესტაბილიზაციის მიზნით, რუსეთმა გაზის ფასი გაზარდა, სეპარატისტებს მხარი დაუჭირა ენერგომომარაგებით და მოახდინა ყირიმსა და მის გარშემო უკრაინის ენერგეტიკული აქტივების ექსპროპრიაცია. ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით უკრაინის მხარდასაჭერად, 2017 წლის ოქტომბერში, ევროპის საბჭო და რიგმა სხვა აქტორებმა ჩაატარეს ფართომასშტაბიანი სწავლება, რომელიც ეძღვნებოდა ქვეყნის ენერგოსისტემის დაცვას კიბერშეტევებისგან.

გლობალური ენერგეტიკული ლანდშაფტის ევოლუცია ნატო–ს აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე. ენერგოსექტორი არის კიბერშეტევების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ასევე ავღანეთში ნატო-ს კოლონაზე თავდასხმებმა ხაზი გაუსვეს სამხედრო ოპერაციებისათვის ენერგომომარაგების უზრუნველყოფის საკითხს. ოფიციალური წყაროების თანახმად, 2019 წლის ივნისში, მოკავშირეთა სამხედრო ძალების ენერგოეფექტურობის გაზრდის, ადგილზე მოპოვებულ წიაღისეულ საწვავზე მათი დამოკიდებულების შემცირების მიზნით, ნატო–მ ჩაატარა წვრთნები და პოლონეთში ახალი ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიების შემოწმების ცდები ჩაატარა.[88]

ალიანსის უსაფრთხოების პრობლემები წარმოიქმნება ფართომასშტაბიანი საფრთხეებისაგან, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო, და რთული იქნება მათი

---

[87] Panel discussion with NATO Secretary General Anders Fogh Rasmussen and former NATO Secretaries General Lord Robertson and Jaap de Hoop Scheffer at the Brussels Forum, 21 Mar. 2014, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_108272.htm

[88] NATO tests smart energy technologies at exercise in Poland, 13 June, 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_166827.htm?selectedLocale=en

პროგნოზირება. აგრესიამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ, კერძოდ, რუსეთის მხრიდან, შესაძლოა გავლენა იქონიოს ნატო-ს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე.

ნატო-ს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადილობრივ და რეგიონალურ დონეზე არასტაბილურობის გამომწვევი ფაქტორები შეიძლება იყოს: ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირებები, ტერიტორიულმა დავები, რესურსების გამო კონფლიქტები, რეფორმების გატარების არაადეკვატური ან წარუმატებელი მცდელობები, ადამიანის უფლებების დარღვევები (კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი და გენდერული ძალადობის ჩათვლით) და სახელმწიფოების დაშლა. ამ რისკების და საფრთხეების კვალობაზე წარმოქმნილმა დაძაბულობამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა შედეგები, რის შედეგადაც ნატო–ს მხრიდან საჭირო იქნება ოპერაციების ფართო სპექტრის შესრულება, პოტენციურად ერთდროულად და სხვადასხვა მასშტაბით. საფრთხეებს ასევე შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებაზე, მეზობელ ქვეყნებზე, მათ შორის ნატო-ს წევრ ქვეყნებზე გავრცელების გზით, და შეუძლიათ გავლენა იქონიოს სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებაზეც.[89]

### 3.2 ასიმეტრიული საფრთხის გავლენა ნატოს უსაფრთხოებაზე

ბოლო წლებში შეიცვალა კონფლიქტების ხასიათი. რადიკალური ჯგუფები და სუსტი სახელმწიფო მოღვაწეები იყენებენ მოულოდნელ საშუალებებს (ტერორიზმით დაწყებული და საინფორმაციო ომით დამთავრებული) ასიმეტრიულ ომში დასავლეთის უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეებზე დარტყმის

[89] AJP-01, Allied Joint Doctrine, E Version, 1 February 2017, Published by the NATO STANDARDIZATION OFFICE (NSO) © NATO/OTAN, pages 88; page 26

განსახორციელებლად. საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალები ღია რჩება ჭკვიანი, მაგრამ უფრო სუსტი მტრის თავდასხმებისთვის.

ტერმინი "ასიმეტრიული საფრთხე (ომი)" სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა ინტერპრეტაციით გვხვდება. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ეს ტერმინი პოპულარული გახდა 1975 წელს, როდესაც ენდრიუ ჯ. მაკმა (Andrew Mack) აკადემიურ ჟურნალში World Politics დაწერა: "რატომ აგებენ პატარა ომებს დიდი სახელმწიფოები", სადაც მან გამოიყენა ტერმინი "ასიმეტრიული ომი", რათა განესაზღვრა მხარეების ძირითად შეიარაღებულ ძალებს შორის განსხვავებები.[90] სიტყვა "ძალაში" ის გულისხმობდა მატერიალურ სიძლიერეს, როგორიცაა დიდი არმია, კარგი შეიარაღება, განვითარებული ეკონომიკა და ა.შ.

სხვა მონაცემების მიხედვით, ტერმინი პირველად 1997 წელს იქნა ნახსენები დოკუმენტებში "აშშ-ს შეიარაღებული ძალების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ყოვლისმომცველი მიმოხილვა" (Quadrennial Defense Review) და "ეროვნული სამხედრო სტრატეგია" (National Military Strategy). მაგრამ უკვე 1998 წელს, ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებულ დოკუმენტში „სტრატეგიული შეფასებები“ (Strategic Assessment), მთელი თავი ასიმეტრიულ საფრთხეებს ეძღვნება, რის შემდეგაც ეს კონცეფცია პრაქტიკულად ყოველთვის პენტაგონის სამხედრო ექსპერტებისა და ანალიტიკოსების ყურადღების ცენტრში მოექცა.

ერთ-ერთი მოსაზრებით ასიმეტრიული საფრთხე შეიძლება განისაზღვროს, როგორც "ქვეყნების, ორგანიზაციების ან ცალკეული პირების, ადგილობრივი ან მათი კონტროლის ქვეშ მყოფი შვილობილი ძალების მიერ გატარებული ფართო და არაპროგნოზირებადი სამხედრო, გასამხედროებული და საინფორმაციო ოპერაციების სპექტრი, რაც სპეციალურად გამიზნულია მოწინააღმდეგის

[90] Mack Andrew, Why Big Nations Lose Small Wars: The Politics of Asymmetric Conflict ,World Politics 27(02) · January 1975, DOI: 10.2307/2009880

ხელისუფლებაში ან სამხედრო ძალებში არსებულ სისუსტეებსა და ხარვეზებზე“[91]. ხშირად ის მოიცავს ინოვაციური ტექნოლოგიების ან ახალი ინსტრუმენტების გამოყენებას არსებული რესურსების საფუძველზე, რომელიც უფრო ძლიერი მეტოქის განკარგულებაში არსებულ რესურსებთან შედარებით შეზღუდულია. არსებობს მოკლე და გრძელვადიანი ხასიათის ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის ასიმეტრიული საფრთხე.

ასიმეტრია, არის გარკვეული მოვლენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს სამხედრო ძალებზე, რათა შეასუსტოს მათი ჩვეული სამხედრო ძალა. ასიმეტრიული მიდგომები წარმოადგენენ სამხედრო ძალაუფლების გვერდის ავლის ან სამხედრო სიძლიერის შესუსტების მცდელობებს, მათი სისუსტეების გამოყენებით, ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ოპერაციების მოსალოდნელი მეთოდისგან.

ასეთი მიდგომები, როგორც წესი, მიზნად ისახავს სერიოზული ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენას, მაგალითად, შოკი ან დაბნეულობა, რაც გავლენას ახდენს მოწინააღმდგების ინიციატივაზე, მოქმედების თავისუფლებაზე ან ნებაზე. აღნიშნული მიდგომები ხშირად იყენებენ ინოვაციურ, არატრადიციულ ტაქტიკას, იარაღს ან ტექნოლოგიას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ომის ყველა დონეზე - სტრატეგია, ოპერაც იები და ტაქტიკა - სამხედრო ოპერაციების მთლიან სპექტრში.

ასიმეტრიულ საფრთხეებს ამერიკელი სპეციალისტები უკავშირებენ სამხედრო და სხვა საფრთხეების პოტენციური წყაროებს, მომავალში ომის წარმოების ფორმასა და საშუალებებს გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ხარისხით.

მათ უკავშირებენ ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა:

[91] Kolodzie L. Michael, Cadet First Class, The Asymmetric Threat L. Kolodzie, USMA https://alu.army.mil/alog/issues/JulAug01/MS628.htm

- ტერორიზმი
- კიბერ დანაშაული
- მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება (WMD) - ბიოლოგიური და ქიმიური
- ინფორმაციული დაპირისპირება
- ამერიკის შეერთებული შტატების ოპონენტების მიერ ახალი ტექნოლოგიების და შეიარაღებული დაპირისპირების საშუალებების გამოყენება, რომლებსაც შეუძლიათ გააუარესონ ან შეასუსტონ სამხედრო შესაძლებლობები
- ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ.[92]

**მასობრივი განადგურების იარაღის გლობალური გავრცელება (WMD)** არის აშკარა და ფართოდ აღიარებული საფრთხე. მისი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო რთული ხდება. 2018 წლის 29 ოქტომბერს უილიამ ალბერკიუმ (William Alberque), ნატოს შეიარაღებული ძალების, განიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის  კონტროლის ცენტრის დირექტორმა, განაცხადა, რომ: „შეიარაღებული ძალების, განიარაღების და გაუვრცელებლობის კონტროლი აუცილებელია ნატო–ს უსაფრთხოებისთვის და მთელ მსოფლიოში სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნებისთვის“, ასევე მან განაცხადა, რომ „სირიასა და გაერთიანებულ სამეფოში ქიმიური იარაღის გამოყენებით განხორციელებულმა შეტევებმა აჩვენა, რომ იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმი გარკვეულ სიძნელეებს განიცდის“[93]. ოფიციალური მონაცემებით, ნატოს მოკავშირეები მტკიცედ უჭერენ მხარს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, რაც წარმოადგენს ბირთვული იარაღისა და იარაღის ტექნოლოგიების გავრცელების პრევენციის საერთაშორისო ძალისხმევების ქვაკუთხედს.

**ტერორიზმი, როგორც გლობალური საფრთხე,** რომელიც არ იცნობს საზღვრებს, ეროვნულობას ან რელიგიას, პირდაპირ საფრთხეს უქმნის ნატოს

[92] Čižik Tomáš, NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION (NATO), January 2015
[93] NATO arms control experts discuss Weapons of Mass Destruction, disarmament and non-proliferation; 29 Oct. 2018, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_159843.htm?selectedLocale=en

ქვეყნების მოქალაქეების უსაფრთხოებას, ასევე საერთაშორისო სტაბილურობასა და კეთილდღეობას. დღეს ტერორიზმი უფრო მიზანმიმართული, დეცენტრალიზებული და მრავალმხრივი გახდა. ნატოს კონტრტერორისტული მუშაობა მიზნად ისახავს საფრთხის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სწავლებისა და რეაგირების შესაძლებლობების განვითარებას და პარტნიორ ქვეყნებთან და სხვა საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთქმედების გაზრდას.

ერთ-ერთი გარდამტეხი და ამავე დროს მნიშვნელოვანი მომენტი მოხდა მაშინ, როცა ნატო–მ პირველად გამოიყენა კოლექტიური თავდაცვის მუხლი (მუხლი 5), რითაც გამოეხმაურა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდასხმას შეერთებული შტატების წინააღმდეგ[94]. გარდა ამისა, ნატო-ს წვლილი ტერორიზმთან ბრძოლის გლობალურ მიდგომაში საჯაროდ აისახა ნატო-ს ტერორიზმთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც დამტკიცდა ნატო–ს 2012 წლის სამიტზე. ეს ფუნდამენტური დებულებები ფოკუსირებულია სამ ძირითად მიმართულებებზე: ცნობიერების ამაღლება, შესაძლებლობები და მონაწილეობა.

ნატო-ს ოფიციალურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2018 წელს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ და გადაწყდა ნატო–ს 2017 წლის სამოქმედო გეგმის განახლება. განახლებული სამოქმედო გეგმა აძლიერებს და აკონსოლიდირებს ნატო-ს როლს საერთაშორისო თანამეგობრობაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.[95]

კიბერ საფრთხეები და კიბერშეტევები უფრო მეტად ვრცელდება, იხვეწება და დესტრუქციული ხდება. მათი გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი არის დაბალი ღირებულება, ხელსაყრელი ტექნიკის ხელმისაწვდომობა და ზიანის მიყენების დიდი პოტენციალი. აღნიშნული თავდასხმებისაფრთხეს წარმოადგენს

[94] Collective defence - Article 5, 12 June 2018 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm
[95] Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, 30 August 2018.
https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm

სტრატეგიულ დონეზე და სერიოზულად მოქმედებს, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ინფრასტრუქტურაზე. ფაქტობრივად კიბერომი არანაკლები ზიანის მომტანია, ვიდრე ნორმალური. შედეგად, კიბერ უსაფრთხოება აღიარებულია ნატო-ს ძირითადი კოლექტიური თავდაცვის მისიის ნაწილად. ძლიერი კიბერ თავდაცვის შენარჩუნებისა და სწრაფად ცვალებადი საფრთხეებისგან არ ჩამორჩენის მიზნით ნატო-მ მიიღო გაფართოებული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე მოკავშირეებმა დაამტკიცეს[96].

ნატო-ს ბრძოლა დესტაბილიზაციის წინააღმდეგ, საინფორმაციო ოპერაციების, კიბერშეტევების, დეზინფორმაციის, პროპაგანდისტული და ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებით გაართულა **რუსეთის მხრიდან წარმოებულმა ჰიბრიდულმა ომმა,** ასიმეტრიული და არატრადიციული სამხედრო შესაძლებლობებისადმი გაზრდილი ყურადღებით. თანამედროვე მსოფლიოს სტაბილურობისა და უსაფრთხოების სხვა გამოწვევების გარდა, რუსეთის ფედერაცია ნატო-ს მხრიდან განიხილება, როგორც ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მთავარი დესტაბილიზატორი.

რუსეთი სულ უფრო ხშირად დგამს ალიანსის ავტორიტეტის შელახვისთვისკენ, წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებისკენ და სხვადასხვა პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე ნატო-ში ერთობის შერყევისკენ წარმართულ ნაბიჯებს, ასიმეტრიული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით.

ნატო-სა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების ისტორია ცივი ომის დასრულების შემდეგ იწყება, როდესაც რუსეთის ფედერაცია ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს 1991 წელს შეუერთდა და

[96] Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, 5 September, 2014
https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm

შემდგომში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში შევიდა. ორივე ნატო-ს და რუსეთის ფედერაციის განზრახვა კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე იყო ნაკარნახევი, პრაგმატული მიდგომა და ამჟამინდელი საერთაშორისო სიტუაციის რეალისტური შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივი ინტერესის სფეროში, კერძოდ, ავღანეთში ნაყოფიერი თანამშრომლობა, საზღვაო მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ბრძოლა და სამშვიდობო ოპერაციებში ორივე მხარის მონაწილეობა, 20 წლიანი თანამშრომლობა არაერთხელ ყოფილა ურთიერთობების სრული გაწყვეტის ზღვარზე.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსეთის ფედერაციასა და ნატო-ს შორის დაძაბულობას რამდენიმე ძირითადი ასპექტი აქვს, როგორიცაა აღმოსავლეთში ნატო-ს გაფართოება, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პრობლემატიკა და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება.

### 3.3 ევროატლანტიკური ალიანსის და საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

თავში განიხილებოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს - ნაქსის (NACC) ფუნქციონალური როლი, როგორც მთავარი ორგანოსი უსაფრთხოების და მშვიდობის საკითხებში. ზუსტად ამ დროს, 1991 წელს როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა დაიწყო საქართველო-ნატოს ურთიერთობა, ხოლო 1992 წელს საქართველო გახდა ნაქსის ოფიციალური წევრი. B 1994 წელს საქართველო შეუერთდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს და 1996 წლიდან აქტიურად იღებს მონაწილეობას წვრთნებში. 1977 წელს შეიქმნა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო, რომელიც ითვალისწინებდა ნაქსის (NACC) და PfP-ს წევრი სახელმწიფოების გაწევრიანებას. აღნიშნული სტრუქტურა წარმოდგენილი იყო, როგორც ნატოს პარტნიორი ქვეყნებთან ურთიერთობის მთავარ მექანიზმად. საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში

გაწევრიანების სურვილის და სწრაფვის შესახებ პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე 2002 წელს და მის შემდგომ აქტიურად აგრძელებს თავისი პოზიციების გამყარებას ალიანსში.[97]

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანამ ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების ალიანსში ინტეგრაცია პრიორიტეტად აქცია და აქტიურად დაიწყო კონტაქტების გამყარება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. საქართველოს მისი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მეორე ეტაპზე გადასვლა უკავშირდება საქართველოს 2004 წელს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ (IPAP) ინიციატივაში ჩართულობა. ამ გეგმის ფარგლებში საქართველოს განახორციელა არაერთი რეფორმა:

- ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნა
- შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის გაძლიერება
- ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის ზრდა
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

ასევე 2005 წელს შეიქმნა „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, რომელიც უკვე 14 წელი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებაზე ზრუნავს.[98]

2006 წლის 21 სექტემბერს ნიუ-იორკში გაიმართა ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა საქართველოსთან ნატოს წევრობის შესახებ ინტენსიური დიალოგის დაწყება. ინტენსიურ დიალოგში

[97] ჩიტაძე ნიკა, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი /; [რედ. ნატალია ბერუაშვილი] - თბ., 2008 – 367, გვ.260

[98] http://infocenter.gov.ge/

საქართველოს ჩართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია პარტნიორული ფორმატიდან წევრობის კანდიდატის ფორმატში. გაძლიერებული დიალოგი ალიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს წარმოადგენს, რომლის მიზანია საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) შესვლის საფუძვლის შექმნა. თუმცა, ბუქარესტის სამიტზე, ნატო-ს ლიდერებმა უარი თქვეს საქართველოსთვის MAP-ს შეთავაზებაზე, მაგრამ ასეთი შესაძლებლობის იმედი მოგვცეს.[99] ამავე დროს, ბუქარესტის სამიტმა აჩვენა, რომ ალიანსის შიგნით წევრ ქვეყნებს ჰქონდათ დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციები: ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერდა საქართველოს სრულუფლებიან წევრობას, ხოლო მეორე ნაწილი, განსაკუთრებით საფრანგეთი და გერმანია, განიხილავდა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ დაძაბულობას  უარის მიზეზად.[100–101]

2008 წლის აგვისტოში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს, როდესაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა, რომელიც 5 დღე გაგრძელდა და გავლენა მოახდინა არა მხოლოდ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის მსოფლიო დონეზე. 26 აგვისტოს რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შეფასებისას, 2008 წლის 19 აგვისტოს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ რუსეთის სამხედრო ქმედებები არაპროპორციული და შეუსაბამოა მის სამშვიდობო როლთან, ასევე შეუსაბამოა ჰელსინკის საბოლოო აქტში მითითებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პრინციპებთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დადებული თანამშრომლობის შეთანხმებებთან.

---

[99] Framework document on the establishment of the NATO-Georgia Commission, Tbilisi, 15 September 2008,https://www.nato.int/docu/pr/2008/p08-114e.html

[100] Summit Guide 2009, https://www.nato.int/summit2009/summit-guide-09.pdf

[101] Lazarević Dušica,  NATO Enlargement to Ukraine and Georgia: Old Wine in New Bottles? Vol. 9, No. 1 (Winter 2009), pp. 29-66 (38 pages)

საქართველოსთან რუსეთის აგვისტოს ომის შემდეგ, ნატომ შეაჩერა მოსკოვთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის უდიდესი ნაწილი. მათ მოუწოდეს რუსეთს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები საქართველოდან ჯარების გაყვანის მიმართულებით და რუსეთ-ნატოს საბჭოს (NRC) თანამშრომლობა შეჩერდა მანამ, სანამ რუსეთი არ გაიყვანს თავის შეიარაღებულ ძალებს საქართველოდან.

2008 წლის 15 სექტემბერს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს ახალი ორგანოს - ნატო-საქართველოს კომისიის (The NATO-Georgia Commission) შექმნის შესახებ. ეს კომისია შეიქმნა როგორც პოლიტიკური კონსულტაციების, ისე პრაქტიკული თანამშრომლობის ფორუმის ჩამოყალიბების მიზნით, რათა დაეხმაროს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიზანს.[102]

საქართველოსთვის, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე მიღებული საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ალიანსში წევრობის მოსამზადებელი პროცესის დაჩქარების ზომების მნიშვნელოვანი პაკეტი. თუმცა, არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ნატოში გაწევრიანებას:

- გადაუჭრელი ტერიტორიული პრობლემები (ნატო-ს გაფართოების პოლიტიკაში ნათქვამია, რომ ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ „ეთნიკური დავები ან საგარეო ტერიტორიული დავები, მათ შორის, შიდა იურისდიქცია, უნდა მოაგვარონ აღნიშნული საკითხები მშვიდობიანი გზით ეუთოს პრინციპების შესაბამისად).
- თავდაცვისთვის არასაკმარისად განვითარებული სამხედრო ძალა

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ნატოსთან. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველო მონაწილეობდა საერთაშორისო მისიებში, როგორიცაა კოსოვო. საქართველოს ჯარები შეუერთდნენ ნატოს ძალებს 1999 წელს და 2008

[102] Statement. Meeting of the North Atlantic Council at the level of Foreign Ministers held at NATO Headquarters, Brussels,https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_29950.htm?fbclid=IwAR3FankLYCYcRqwMs6UagS8lqeRy4lYnN6pyQmfuFK33fQogUxPh1uTVTRI

წლამდე იქ მსახურობდნენ. აგრეთვე, 2004 წლის აგვისტოში საქართველო შეუერთდა საერთაშორისო უშიშროების დახმარების ძალებს - ISAF (International Security Assistance Force), რის შემდეგაც საქართველოს რაზმები ავღანეთში როტაციის წესით მსახურობდნენ. აღსანიშნავია, რომ ნატო–ს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლებისა და შეფასების ცენტრის (NATO/Georgia Joint Training and Evaluation Centre) გახსნა 2015 წელს. ამ ცენტრის საქმიანობა ხელს შეუწყობს საქართველოს სამხედრო ძალების პროფესიონალიზმის გაუმჯობესებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტების შესაბამისად.[103]

[103] Relations with Georgia, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm?fbclid=IwAR0IJzZ-KrUeLdNLJrdFPyk8fk6Iv3esT-FkePLBU6aO8cNaPf42BieAB5g

# დასკვნა

ჩემს მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში, განვიხილეთ ნატოს ჩამოყალიბების ისტორია, ფაქტორები და მოვლენები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მის ჩამოყალიბებაში. ასევე წარმოვადგინეთ XXI საუკუნეში არსებული რისკები და საფრთხეები, რომლის წინაშე დგას ალიანსი დღესდღეობით და  თუ რამდენად მნიშვნელოვანია მუდმივად ცვალებად ვითარებაში ადაპტირება და მსოფლიო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ახალი მეთოდების შემუშავება და განვითარება.

საკვლევ კითხვეებს რომ დავუბრუნდეთ თუ რა როლს ასრულებს ნატო თანამედროვე კონფლიქტების დარეგულირებაშ და პრევენციაში შეგვიძლია ავღნიშნოთ შემდეგი რამ, ნატო-ს შექმნა მრავალგზის ისტორიული მოვლენა იყო. ალიანსი სამხედრო ძალების სამშვიდობო ალიანსად იქცა, რომელიც აშშ-ს ინსტიტუციონალურად აკისრებდა ევროპის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მათ შორის უსაფრთხოების კონკრეტულ გარანტიებზე.

ნატო-ს წარმატება ცივი ომის პერიოდში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ კოლექტიური თავდაცვისა და შეკავების ეფექტიანი სამხედრო მექანიზმი. იგი ასევე აღმოჩნდა  ფასდაუდებელი პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც დღესდღეობითაც ხელს  უწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობას ევროპის უსაფრთხოების საკითხებში.

შექმნის დღიდან, ნატომ როგორც ორგანიზაციამ გადაიტანა რამდენიმე დრამატული მომენტი, რომლებიც დაკავშირებული იყო, როგორც შიდა წინააღმდეგობებთან, ასევე გარე გამოწვევებთანაც.

ნატო-ს მართვის სტრუქტურა აქამდე პოლიტიკის ისეთ ჩამოყალიბების საშუალებას იძლეოდა, რათა ყოფილიყო უსაფრთხოების უფრო პროაქტიური ინსტიტუტი, ვიდრე რეაქტიული თავდაცვის ინსტიტუტი. ნატო რჩება აქტიურ, დინამიურ ორგანიზაციად, რომელიც აფართოებს და არ ამცირებს მის მასშტაბებს და წევრობას.

სხვა გლობალურ პარტნიორებთან ურთიერთობების ანალიზირებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს ნატო-სთან თანამშრომლობაში გარკვეული ინტერესები გააჩნიათ, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ნატო-სთან თანამშრომლობის ხარისხისა და ურთიერთობების შემდგომი განვითარების ამბიციების დონით. ეს ქვეყნები წარმოადგენენ ძალზედ მრავალფეროვან ქვეყანათა ჯგუფს, რომლებიც განსხვავდებიან ზომით, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციით და საერთო საერთაშორისო გავლენით. ცხადია, რომ ნატო-მ ვერ მოახერხა ყველა მიმართულებით ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევა, თუმცა მუშაობა გრძელდება.

დღეს, საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობა რთულდება აქტორებისა და საფრთხეების მზარდი რაოდენობის გამო. ეს ფაქტი გულისხმობს იმას, რომ ქვეყნებმა უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გაიღონ ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოების სხვადასხვა დონეები (ეროვნული, რეგიონალური ან გლობალური). ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) წარმოადგენს იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ უწყობს ხელს საერთო ღირებულებების და ინტერესების არსებობა პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ ნატო გვევლინება როგორც ეფექტური თავდაცვითი ალიანსი, 21-ე საუკუნის დასაწყისში არსებული გამოწვევების ტრანსფორმაცია

საფრთხეს წარმოადგენს ორგანიზაციისთვის, როგორც ერთ-ერთ მთავარ რეგიონულ და, შესაძლოა ითქვას, გლობალურ აქტორს.

ნატოს მიდგომები კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში იცვლიან ვექტორს და განიცდიან ადაპტაციას ახალი გამოწვევების გათვალისწინებით. დღეს ნატო-ს განვითარების ანალიზირებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნატო-ს ადაპტაცია მიმდინარეობს არა სამხედრო გაძლიერების, არამედ ხარისხობრივი ცვლილების გზით. ამავდროულად, ორგანიზაცია საჭიროებს გამჭვირვალობისა და მრავალეროვნული გადაწყვეტის პროცედურის შემუშავებას. წარმატებული ტრანსფორმაცია და არატრადიციული უსაფრთხოების პრობლემებთან ადაპტაცია არის ძირითადი წინაპირობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლის გლობალიზაციისთვის, თუმცა ფინანსური კრიზისი და ახალი სუპერ–სახელმწიფოების წინააღმდეგობა შეიძლება გახდეს გამოწვევა ნატო-ს განვითარების პროცესში.

დღესდღეობით ნატოს წინაშე დგას საფრთხეების მრავალი სპექტრი, განსხვავებული თავისი მნიშვნელობით, ტიპით და გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. ეს არის ტრანსნაციონალური საფრთხეები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, კიბერშეტევების, რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ა.შ.

აღნიშნული საფრთხეები გავლენას ახდენენ მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაზე და ნატო ადაპტირებას ახდენს და ცდილობს რომ მოერგოს არსებულ გამოწვევებს, რაც გამოიხატება შემდეგ ტენდენციებში:

- ჭკვიანი თავდაცვის (smart defence) განვითარება, როგორც პრინციპებისა და სიმტკიცის კომბინაცია, არის ნატო-ს ინიციატივა უფრო ეფექტიანად გამოიყენოს რესურსები, რათა დაეხმაროს ქვეყნებს თავიანთი შესაძლებლობები შეინარჩუნონ და აღმოაჩინონ ახალი.

- თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება ნიშნავს არა მარტო სამხედრო და საგანგებო რეაგირებას მოქმედებების დაგეგმარებას, არამედ კოორდინაციასა და თავდაცვის სხვადასხვა საშუალებების შესწავლას.
- უხილავ მტერთან ბრძოლა, ტერორიზმის მსგავსად, მოითხოვს ნატო-ს სხვადასხვა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროგრამების განხორციელების ტექნოლოგიური და პროცედურული პოტენციალის გაუმჯობესებას. ახალი პარტნიორობა იყენებს ნატო-ს ჩართულობის სტანდარტებს, როგორც უპრეცედენტო ნაბიჯს თავდაცვის ახალ დონეზე.

  ამით ვადასტურებთ ჰიპოთეზას, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის შემუშავება და უსაფრთხოების სისტემის დახვეწა, რასაც ნატო წარმატებით ახორციელებს და კვლავ გვევლინება მსოფლიოში მშვიდობის და უსაფრთხოების გარანტად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბაშიძე ზ. ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ,,ცოდნა". (თბილისი) 2000 წ.
2. ბარნოვი ანდრო, ,,სტრატეგიისა და განვითარების კავკასის უნივერსიტეტი'' 2009 წ.
3. ჩიტაძე ნ., გეოპოლიტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი 2011 წ.
4. მაისაია ვ., შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, პარიზი 2005 წ.
5. ჩიტაშვილი მ., სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი. 2004 წ.
6. მაგშტადტი, თომას მ., გავიგოთ პოლიტიკა (იდეები, ინსტიტუტები და საკითხები) ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი -2010 წ.
7. ჩიტაძე ნიკა, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი /; [რედ. ნატალია ბერუაშვილი] - თბ., 2008 - 367
8. გვენეტაძე ე., რუხაძე ი. - ნატო (NATO) საერთაშორისო ურთერთობებში. თბილისი 2009 წ.
9. ცინცაძე ს. (რედ), საქართველო - ნატო, საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბ., 2008 წ.
10. გვენეტაძე ე., საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო კონფლიქთები. თბილისი 2009 წ.
11. ცხადაძე ზ., ტერორიზმი და გობალური უსაფრთოება. თბილისი 2013წ.
12. AJP-01, Allied Joint Doctrine, E Version, 1 February 2017, Published by the NATO Standardization Office (NSO), NATO/OTAN, pages 88; page 26
13. AJP-3.4.1, Peace Support Operations, NATO unclassified, 2011
14. Bardají Rafael L., NATO: Dead and Alive, Analysis 284, 11 June 2008, GEES Strategic Studies

Group

15. Bew John, Elefteriu Gabriel and Ehrhardt Andrew, Remaking the Case for NATO, Collective security and the British national interest, Policy Exchange, 2018
16. Belkin Paul, Assessing NATO's Value, March 28, 2019, Congressional Research Servicehttps://crsreports.congress.gov R45652R45652
17. Bilski Artur, NATO Peace Support Operations: Nordic – Polish Brigade in Bosnia – Herzegovina Beginning of the Mission, http://www.nobilismedia.pl/pluginAppObj_1843/bosnia_demo.pdf
18. Burns Nicholas, Lute Douglas, NATO at Seventy: An Alliance in Crisis, Report, Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School, Feb. 2019
19. Cohen Richard, Mihalka Michael, Cooperative Security: New Horizons for International Order, The Marshall Center Papers, No. 3, 2001, The George C. Marshall European Center for Security Studies, pages 88
20. Cížik Tomáš, Novák Peter, North Atlantic Treaty Organization (NATO), Centre for European and North Atlantic Affairs, 2015
21. Cooperative Security as NATO's Core Task, Building security through military cooperation across the globe
22. 2011, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77718.htm?selectedLocale=en
23. Dinnisse Rosa (ed.) Peacekeeping operations in a changing world, Clingendael Strategic Monitor Project, June 2014
24. Daniiloudi-Zielińska Eleni, Ghamari Magdalena El, International Security and Defense - The Example of NATO, Securitologia No 2/2017, SSN: 1898-4509 e-ISSN: 2449-7436 online pdf, Warsaw, Poland p 82-101
25. Duffield John S., NATO's Functions after the Cold War, Political Science Quarterly, Vol. 109, No. 5 (Winter, 1994-1995), The Academy of Political Science pp. 763-787
26. Gareth Evans, Cooperative Security and Intrastate Conflict, Foreign Policy, No. 96, Autumn, 1994
27. Gruszczak Artur (ed), Euro-Atlantic Security Policy: Between the NATO Summits in Newport and in Warsaw, Krakow 2015Goldgeier James M., The Future of NATO, The Council on Foreign Relations (CFR), Council Special Report No. 51 February 2010
28. Geoffrey Roberts, Starting the Cold War, History Review Issue 38 December 2000
29. Gregory W. Pedlow, NATO STRATEGY DOCUMENTS 1949-1969, NATO Strategy documents 1949-1969

30. Ercolani Jovanni, Keeping Security and Peace: Behind the Strategicalization of NATO's 'Critical Security Discourse', Security Strategies Year: 7 Issue: 14
31. Efthymiopoulos Marios P., NATO Smart Defense and Cyber Resilience, WORKING PAPER 1/2016, May 2016
32. Fedder Edwin H., The Concept of Alliance, International Studies Quarterly, Volume 12, Issue 1, March 1968, Pages 65–86
33. Flockhart Trine (editor), Cooperative Security: NATO's Partnership Policy in a Changing World, DIIS . DANISH INSTITUTE FOR INTERNATIONAL STUDIES, Report 2014:01
34. Fleischer Paweł, NATO DEFENCE PLANNING PROCESS. IMPLICATIONS FOR DEFENCE POSTURE, Uniwersytet Warszawski Academic Security Forum, Securitologia No 1/2015 p 103-114
35. Jackson Robert J., NATO and Peacekeeping, Final Report for NATO Fellowship, Due 30 June 1997
36. Hjellet Ina, NATO in a Multipolar World: U.S. Foreign Policy Discourse and the Future of NATO, Spring 2012
37. İnan Yüksel, Yusuf İslam, Partnership for Peace, Journal of International Affairs, June - August 1999 Volume IV - Number 2
38. Kaim Markus, Reforming NATO's Partnerships, SWP Research Paper, Stiftung Wissenschaft und Politik/German Institute for International and Security Affairs, January 2017, Berlin
39. Lazarević Dušica, NATO Enlargement to Ukraine and Georgia: Old Wine in New Bottles? Vol. 9, No. 1 (Winter 2009), pp. 29-66 (38 pages)
40. Locher Anna, Nuenlist Christian (eds.), The Multilateralization of Détente: NATO and the Harmel Exercise, 1966-68, NATO's Harmel Report, 1966/67 Parallel History Project (PHP)
41. Lafeber Walter, NATO and the Korean War: A Context, Diplomatic History, Volume 13, Issue 4, October 1989, Pages 461–477, https://doi.org/10.1111/j.1467-7709.1989.tb00067.x
42. Leinonen Jukka, Beginning of the Cold War as a Phenomenon of Realpolitik U.S. Secretary of State James F. Byrnes in the Field of Power Politics 1945 – 1947, Academic dissertation, Jyväskylä Studies in Humanities, ISBN 978-951-39-4686-9 (PDF)
43. Manke Albert, Březinová Kateřina, Blecha Laurin, Conceptual Readings into the Cold War: Towards Transnational Approaches from the Perspective of Latin American Studies in Eastern and Western EuropePrint version ISSN 0103-2186On-line version ISSN 2178-1494; Estud. hist. (Rio J.) vol.30 no.60 Rio de Janeiro Jan./Apr. 2017
44. Mastny Vojtech, ATO in the Beholder's Eye: Soviet Perceptions and Policies, 1949-56, COLD WAR INTERNATIONAL HISTORY PROJECT, Working Paper No. 35, Washington, D.C.

March 2002

45. Matei, Floriana Cristiana, NATO and conflict resolution, Monterey, California. Naval Postgraduate School, March 2001
46. Mack Andrew, "Why big nations lose small wars: The politics of asymmetric conflict", 1975
47. McCalla Robert B., NATO's persistence after the cold war. (North Atlantic Treaty Organization), International Organization, Summer 1996 50 n3 p445-475.
48. Mihalka Michael, Cooperative security in the 21st Century, Philosophy and Public Affairs 30 (4):387-416 (2001)
49. NATO and the Warsaw Pact, Force comparison, NATO Informational Service, Brussels, 1984
50. NATO Strategic Concept (1999)
51. Patrick T. Warren, Colonel, Alliance History and the Future NATO: What the Last 500 Years of Alliance Behavior Tells Us about NATO's Path Forward, 21st CENTURY DEFENSE INITIATIVE POLICY PAPER June 30, 2010 Foreign Policy at BROOKINGS
52. Pifer Steven, NATO, Nuclear Weapons and Arms Control, Foreign Policy at BROOKINGS, Arms Control Series Paper 7 • July 2011
53. Pilat Joseph F., Nonproliferation, Arms Control and Disarmament, and Extended Deterrence in the New Security Environment, Los Alamos National Laboratory, Strategic Insights, Volume VIII, Issue 4 (September 2009)
54. Ratti Luca, International Relations Theory and NATO's Post-Cold War Path: an Ongoing Debate, QUADERNI DEL DIPARTIMENTO DI SCIENZE POLITICHE 11/2017 p 85-111
55. Ravenal, E.C., „An Autopsy of Collective Security", Political Science Quarterly, 90(4), 1976, 697-714.
56. Report - Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School
57. Stackevičius Mindaugas, NATO Non Article 5 Crisis Response Operations and Peace Support Operation concept, Introduction to Peace Support Operations, Wroclaw, 2013
58. Salonius-Pasternak Charly (ed.)From Protecting Some to Securing Many, NATO's Journey from a Military Alliance to a Security Manager, The Finnish Institute of International Affairs 2007
59. Smolar Eugeniusz, Transatlantic relations and NATO, European View (2011) 10:127–135 DOI, Ó Centre for European Studies 2011
60. Stromseth Jane E., The North Atlantic Treaty and European Security after the Cold War, Cornell International Law, Journal Volume 24, Issue 3 Symposium 1991, Article 6 p.479-503

61. Tertrais Bruno, Article 5 of the Wahington Treaty: Its Origins, Meaning and Future Research Paper, Research Division – NATO Defense College, Rome – No.130 - April 2016

62. Tastum Morten, The Future of the North Atlantic Treaty Organization: Reevaluating the Current Situation, International Affair Revues, Spring 2014

63. Tabak Hüsrev (ed), Experiences of NATO's Partnership for Peace (PfP) in the Post-Soviet Space: 20 Years On Vol. 4 • No: 3-4 • Winter 2014-2015, Caucasus International

64. Tomonori Yoshizaki, Alliances and Conflict Resolution: NATO's Role in Security Sector Reform, NIDS Security Reports p 91-109

65. Terry James P., The Emerging Role of NATO in UN Peace Enforcement Operations, International Law Studies, Volume 72 pp 291-308

66. Webber Mark, Thinking NATO through Theoretically, Paper presented to the ECPR Joint Sessions, Lisbon 14-19 April 2009-04-08, Workshop 24: 'Theorizing NATO'

67. Walt Stephen M., Alliance Formation and the Balance of World Power Author(s): Source: International Security, Vol. 9, No. 4 (Spring, 1985), pp. 3-43

68. Wenger Andreas, The Multilateralization of Détente: NATO and the Harmel Exercise, 1966-68, NATO's Harmel Report, 1966/67 Parallel History Project (PHP)

69. Zapolskis Martynas, Institute of International Relations and Political Science,Vilnius University, p.35-56 10.2478/v10243-012-0012-5

**ინტერნეტ რესურსები:**

70. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 4 აპრილი, 1949 წ.https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

71. Arms control, disarmament and non-proliferation in NATO, 08 Feb. 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_48895.htm?selectedLocale=en

72. Anders Fogh Rasmussen, Secretary General: 'NATO and Australia are ideal partners', June13 2012, https://www.atlanticcouncil.org/blogs/natosource/secretary-general-nato-and-australia-are-ideal-partners

73. Collective defence - Article 5, 12 June 2018 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_110496.htm

74. Colombia to be NATO's first Latin American global partner, MAY 26, 2018, https://ca.reuters.com/article/topNews/idCAKCN1IR0E8-OCATP

75. GAP In NATO Science For Peace And Security Information Day, https://gap-

project.eu/2018/12/12/gap-in-nato-science-for-peace-and-security-information-day/

76. Churchill Winston, The Sinews of Peace ('Iron Curtain Speech'), Westminster College, Fulton, Missouri March 5, 1946, https://winstonchurchill.org/the-life-of-churchill/life/why-study-winston-churchill/
77. Framework document on the establishment of the NATO-Georgia Commission
78. Tbilisi, 15 September 2008,https://www.nato.int/docu/pr/2008/p08-114e.html
79. Hanson Victor Davis, Lord Ismay, NATO, and the Old-New World Order, July 5, 2017, https://www.nationalreview.com/2017/07/nato-russians-out-americans-germans-down-updated-reversed/
80. Kolodzie L. Michael, Cadet First Class, The Asymmetric Threat L. Kolodzie, USMA
81. NSC-68 and the Korean War, https://history.state.gov/departmenthistory/short-history/koreanwar
82. NSD-S, NATO Strategic Direction South, https://thesouthernhub.org/
83. NATO tests smart energy technologies at exercise in Poland, 13 June, 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_166827.htm?selectedLocale=en
84. Operations and missions: past and present, 25 Apr. 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm
85. Panel discussion with NATO Secretary General Anders Fogh Rasmussen and former NATO Secretaries General Lord Robertson and Jaap de Hoop Scheffer at the Brussels Forum, 21 Mar. 2014, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_108272.htm
86. Relations with Russia, 4 February 2019 https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50090.htm
87. Stavridis James, ( Admiral Ret.), Why NATO Is Essential For World Peace, According to Its Former Commander, April, 2019, https://time.com/5564171/why-nato-is-essential-world-peace/
88. Science for Peace and Security, https://www.nato.int/cps/en/natolive/78209.htm
89. Shea Jamie, How the Harmel Report Helped Build the Transatlantic Security Framework, January, 2018, https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/how-the-harmel-report-helped-build-the-transatlantic-security-framework
90. Summit Guide 2009, https://www.nato.int/summit2009/summit-guide-09.pdf
91. Speech by NATO Secretary General Jens Stoltenberg at the Munich Security Conference, 15 Feb. 2019, https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_163791.htm
92. The Truman Doctrine, 1947, https://history.state.gov/milestones/1945-1952/truman-

doctrine

93. The Cold War (1945–1989), CVCE.EU by UNI.LU, https://www.cvce.eu/content/publication/2011/11/21/6dfe06ed-4790-48a4-8968-855e90593185/publishable_en.pdf

94. Vanderberrg Resolution, U. S. Resolution 239, 80th Congress, 2nd Session, 11th June 1948 (The Vandenberg Resolution) https://www.nato.int/ebookshop/video/declassified/doc_files/Vandenberg%20resolution.pdf

95. Women, Peace and Security, 05 Jul. 2018, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_91091.htm?selectedLocale=en

96. Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, 30 August 2018. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm

97. Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales, 5 September, 2014 https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm

**გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა:**

EAPC (Euro-Atlantic Partnership Council) - ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო

EUROMED ევრო–ხმელთაშუაზღვის პარტნიორობა

CDO (Collective Defence Operations) კოლექტიური თავდაცვის ოპერაციები

CRO (Crisis Response Operations) კრიზისებზე რეაგირების ოპერაციები

CFE (Conventional Arms in Europe Treaty) ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ

DDPR (Deterrence and Defence Posture Review) სამხედრო ძალების ურთიერთბალანსირებული შემცირებისთვის

IFOR (NATO-led Implementation Force) ნატო-ს სამხედრო ძალები

ISAF ( International Security Assistance Force) ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები

IPAP (Individual Partnership Action Plan) ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“

KFOR (Kosovo Force) ე.წ. კოსოვოს ძალები

MAP (Membership Action Plan) წევრობის სამოქმედო გეგმის

MBFR (Mutual Balanced Force Reduction) სამხედრო ურთიერთდაბალანსებული ძალების შემცირება

NA5CRO (NATO involvement in non-Article 5 crisis response operations) კრიზისებზე რეაგირების ოპერაციები არ უკავშირდება მე–5 მუხლს

NAC (North Atlantic Council) ჩრდილოატლანტიკური საბჭო

NACC (North Atlantic Co-operation Council) ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო

PfP  (Partnership for Peace) პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის

PATG (Partners across the Globe) გლობალური პარტნიორობა

PSO (Peace Support Operations) მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციები

OSCE ეუთო

SFOR (NATO led Stabilization Force) სტაბილიზაციის ძალები

TCP (Tailored Cooperation Pack) ინდივიუალური (ადაპტირებული) თანამშრომლობის პაკეტები“

UN გაერო

WMD (Weapons of mass destruction) მასობრივი განადგურების იარაღის გლობალური გავრცელება